# ივერია

„მარად და ყველგან, საქართველო, მე ვარ შენთანა,
მე ვარო შენი თანამდევი უკვდავი სული!“

— № 22, 1990 წლის 24 აპრილი —

გაზეთ "ივერიის" გამოცემა აღადგინა ზურაბ ჭავჭავაძემ. გაზეთის პირველი ნომერი გამოვიდა 1989 წლის 20 თებერვალს.

ჩვენი გაზეთის წინამდებარე ნომერი
ათგვერდიანია!

მასში გაეცნობით ბევრ საყურადღებო მასალას,
კერძოდ:

● ლიტვის ერთ-ერთი ყველაზე რადიკალური ორგანიზაციის - "ლიტვის თავისუფლების ლიგის" თავმჯდომარე, ყოფილი პოლიტპატიმარი ანტანას ტერლეაცკასი დიდ შეცდომად აცხადებს არჩევნების ბოიკოტის კურსს... ამას და სხვა საინტერესო საკითხებს ეხება იგი ინტერვიუში, რომელსაც წაიკითხავთ მე-3-4 გვერდებზე.

● 9 აპრილის ტრაგედიას აანალიზებს და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის სტრატეგიასა და ტაქტიკაზე მსჯელობს თამარ ჩხეიძე. იხ. გვ. 2.

● "ეროვნულ ფორუმში" გაერთიანების მცდარი პრინციპის გამო მასში არ არის წარმოდგენილი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ყველა ძალა. ამდენად იგი არ არის და არც შეიძლება იყოს ამ მოძრაობის მაკოორდინირებელი ორგანო... ამის შესახებ იხილეთ კახაბერ კახაძის წერილი "ასე კონსოლიდაცია ვერ მოხდება". გვ. 8

● ზვიად გამსახურდიას სიტყვას, წარმოთქმულს 1990 წლის 25 მარტს მთავრობის სახლის წინ გამართულ მიტინგზე, რომელშიც იგი თავს ესხმის ილია ჭავჭავაძის საზოგადოებას, ქართულ ინტელიგენციას და ქართველ ემიგრანტებს, (დიდი ქართველი პოეტის დავით გურამიშვილის კომენტარით) წაიკითხავთ მე-5 გვერდზე.

● პარიზში გამომავალ ჟურნალში "გუშაგი" დაიბეჭდა ჩვენი ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას წერილი, რომელშიც იგი "ბოლშევიკობას" და "კომკავშირლობას" უწოდებს ილია ჭავჭავაძის საზოგადოებაზე თავდასხმებს. გვ.7.

● ქართული ემიგრაციის მიმართ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთი ნაწილის უმადური დამოკიდებულების შესახებ იხილეთ ანზორ აბჟანდაძის წერილი "რატომ "გადაუბრუნდათ" ტვინი ქართველ ემიგრანტებს?" გვ.6.

● ზუგდიდში შეიქმნა "ოპოზიციური საბჭო", რომელიც მისაბაძი მაგალითია ოპოზიციური ძალების კონსოლიდაციისა. ამის შესახებ იხ. დემურ ანთიას წერილი. გვ. 8

● ზუგდიდის მე-3 საშუალო სკოლას და ყვარლის ყოფილ საბჭოს ქუჩას ეწოდა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბრწყინვალე წარმომადგენლისა და მისი ერთ-ერთი ზნეობრივი ბურჯის ზურაბ ჭავჭავაძის სახელი. მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი მასალები იხ. მე-9 გვერდზე.

## ქრისტე აღსდგა!



ქრისტე აღსდგა მკვდრეთით, სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი, და საფლავების შინათა ცხოვრების მიმნიჭებელი!

● 24 მარტის მიტინგისა და 6 აპრილის კონფერენციის რეზოლუციები იხილეთ მე-4 და მე-7 გვ.

● მიმართვა ლიტვის არალიტველი მოსახლეობისადმი იხ. მე-4 გვ.

● ისტორიკოს იური აფანასიევის სიტყვა, წარმოთქმული ვილნიუსის მიტინგზე, რომელშიც იგი მიესალმება ლიტვის დამოუკიდებლობას, იხ. მე-4 გვერდზე.

● ილია ჭავჭავაძის საზოგადოების განცხადება 27 თებერვალს ე. წ. "თურქ-მესხთა" შესახებ გამართულ მიტინგზე ილია ჭავჭავაძის საზოგადოების მიმართ ულირს ცილისწამებასთან და ამის უკან მდგარ უაღრესად საშიშ მოვლენასთან დაკავშირებით იხ. მე-6 გვ.

● გაზეთის ამ ნომერში იხილავთ აგრეთვე სხვა საინტერესო მასალებს, იუმორს, ფოტოდოკუმენტებს, კარიკატურებს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრძოლის ველი თუ სასაკლაო ?..

1989 წლის 4 აპრილს ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ინიციატივით საქართველოში დაიწყო პირველი საყოველთაო გაფიცვა. მას წინ უძღოდა სიტუაციის უაღრესად დაძაბვა აფხაზეთში, რაც ლიხნის ცნობილ წერილს და 1 აპრილს ქართველთა ავტობუსებზე გუდაუთის რაიკომის პირველი მდივნის ოზგანის მიერ ორგანიზებულ ტერორისტულ თავდასხმას მოჰყვა.

თბილისის აქციის ინიციატორი იყო ზურაბ ჭავჭავაძე. ჩვენი საზოგადოების ამ წამოწყებაში აქტიურად მონაწილეობდა მერაბ კოსტავა, რომელიც არსებით როლს ასრულებდა აფხაზეთში ჩატარებულ მიტინგებსა და დემონსტრაციებშიც. იგი და ზურაბი იყვნენ ფაქტიურად 2 აპრილს სოხუმში ჩატარებული უაღრესად შთამბეჭდავი დემონსტრაციისა და მიტინგის ინიციატორები, ქართველებმა 1 აპრილს ჩადენილი ბარბაროსობის საპასუხოდ რომ გამართეს. მიტინგები და დემონსტრაციები საქართველოში მეტისმეტად ხშირ მოვლენად იქცა და ღირსშესანიშნაობას აღარ წარმოადგენს, მაგრამ ვინც 2 აპრილს სოხუმში ამ მშვენიერ მსვლელობაში მონაწილეობდა, ალბათ დამეთანხმება, რომ ეს იყო რაღაც განსაკუთრებული. ეს იყო მართლაც თავისუფალი ადამიანების თავისუფალი ნების დემონსტრირება, რომელსაც წარმართავდა არა სიძულვილის იმპულსები, ჩვენდა სავალალოდ ასე რომ იჩინა თავი ბოლო დროს, არამედ სიყვარული, რომელიც აფხაზებზეც ვრცელდებოდა. ზურაბ ჭავჭავაძე სიამოვნებით ჰყვებოდა ხოლმე, როგორ შემოუერთდა ამ მსვლელობას რამდენიმე აფხაზი და ქართველ დემონსტრანტებთან ერთად გაიძახოდა: "სა-ქარ-თვე-ლო! სა-ქარ-თვე-ლო!" ჩვენს ზოგიერთ არაკეთილსინდისიერ ოპონენტს სურს საქმე ისე წარმოსახოს, თითქოს აფხაზეთში ქართველთა ეროვნული მოძრაობა, რომელსაც ილია ჭავჭავაძის საზოგადოება წარმართავდა, ეთნიკური კრიზისის გამწვავებას ისახავდა მიზნად და სპეციალურად იწვევდა აფხაზ-ქართველთა ურთიერთობის გამწვავებას. 23 მაისს ისტორიის ინსტიტუტში გამოსვლისას მერაბ კოსტავამ განაცხადა, რომ ის, ვინც ამას ამბობს, ნამდვილი ინტრიგანიაო და როგორც მოვლენების თვითმხილველმა და მონაწილემ, დაგმო ამგვარი სიცრუის გამავრცელებელნი. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს სინამდვილეში ქართული ანდაზის საწინააღმდეგოდ ტყუილს საკმაოდ გრძელი ფეხები აღმოაჩნდა, ჭეშმარიტებას მაინც ვერსად გაექცევა: ჩვენს ხელთაა მიტინგების ვიდეოჩანაწერები, წერილობითი დოკუმენტები, რომლებიც კარგად გვიჩვენებს, რომ ილია ჭავჭავაძის საზოგადოების მიერ ჯერ აფხაზეთში, ხოლო შემდეგ თბილისში ჩატარებული ყოველი აქცია მკაფიოდ და ცალსახად ემსახურებოდა აფხაზ-ქართველთა ძველისძველი მეგობრობის აღდგენას, მდგომარეობის ნორმალიზაციას, რაც ნიადაგს გამოაცლიდა სწორედ კრემლის მიერ გაღვივებულ ეთნოკონფლიქტებს. ამისთვის აუცილებელი იყო ქართველთა შელახული უფლებების დაცვა, კონკრეტულ დამნაშავეთა (ოზგანის, კობახიას და სხვა) თანამდებობებიდან ჩამოშორება. არც ერთი ანტიაფხაზური სიტყვა არ თქმულა ამ აქციებზე. "ჩვენ მაინც ვიპოვით გზას აფხაზთა გულებისაკენ", - უთქვამს ვოვა ვეკუასათვის მერაბ კოსტავას. და სწორედ ამ სულისკვეთებით მიმდინარეობდა ჩვენი აქციები.

2 აპრილიდან აფხაზეთის ქართველობა გაიფიცა. გაიფიცა კონკრეტული, სასიცოცხლო ეროვნული (და არა ანტიაფხაზური ) მოთხოვნებით. ილია ჭავჭავაძის საზოგადოებამ გადაწყვიტა მოთხოვნების შესრულებისათვის მთავრობაზე დაწოლის მოხდენის სიმძიმის ცენტრი თბილისში გადმოეტანა, რათა სრულიად გამორიცხულიყო ქართველთა და შეცდომაში შეყვანილ აფხაზთა შეჯახების რაიმე საფრთხე. ასე დაიწყო 4 აპრილს მჯდომარე გაფიცვა მთავრობის სახლის კიბეებზე. 5 აპრილს დილიდან კი გაფიცვამ საყოველთაო ხასიათი მიიღო.

სწორედ აქ იჩინა თავი სხვადასხვა პოლიტიკურ ორგანიზაციებს შორის იმ არაჯანსაღმა დამოკიდებულებამ (კერძოდ ილია ჭავჭავაძის საზოგადოებისადმი მტრობამ და ინტრიგებმა), რომელსაც მერაბ კოსტავა ისტორიის ინსტიტუტში ზემოთხსენებულ გამოსვლაში სისხლისღვრის მიზეზად ასახელებს. ილია ჭავჭავაძის საზოგადოება მოუწოდებდა ყველა გაერთიანებას, შეერთებოდნენ აქციას, რათა მთავრობა იძულებული გამხდარიყო, შეესრულებინა სასიცოცხლო მნიშვნელობის, კონკრეტული და სრულიად რეალურად შესასრულებელი მოთხოვნები, რაც განმუხტავდა სიტუაციას აფხაზეთში. 6 აპრილს, დილით, კიდეც დაიწყო პროცესი: აძლეიბა, ლიხნის მიმართვის ერთ-ერთი ხელმომწერი, რომლის ხელისხლებასაც პატიაშვილი თავისი ინიციატივით ვერ ბედავდა, მოხსნეს. რა თქმა უნდა, ეს ცოტას ნიშნავდა, მაგრამ გარდაუვალი იყო ამ პროცესის გაგრძელება. მას მიჰყვებოდა ოზგანი, კობახია და სხვა, შესუსტდებოდა ანტიქართული საკადრო პოლიტიკა. რა თქმა უნდა, სანამ საქართველო ოკუპირებულია, საკითხის სრული მოგვარება შეუძლებელია, მაგრამ სრულიად შესაძლებელია კრემლის ცალკეული პროვოკაციის უვნებელყოფა და უფლებების დაცვისათვის ბრძოლა, თუკი ის სწორად იქნება წარმართული.

ილია ჭავჭავაძის საზოგადოების მოწოდება ყურად არავინ იღო. იგი ფაქტიურად ჩამოაშორეს მის მიერვე წამოწყებული აქციის მართვას. გამოცხადდა, რომ აფხაზეთის პრობლემა არ არსებობს და დაიწყო შიმშილობა დამოუკიდებლობის მოთხოვნით. აღსანიშნავია, რომ საგაფიცვო კომიტეტშიც კი არ შეიყვანეს ილია ჭავჭავაძის საზოგადოება. მასში არ შეიყვანეს არც მერაბ კოსტავა ილია ჭავჭავაძის საზოგადოებასთან მისი ურთიერთობის გამო. მერაბმა თავის თავზე არაფერი თქვა, მაგრამ მიტინგზე განაცხადა, რომ არ ცნობს საგაფიცვო კომიტეტს, რომელშიც არ შეიყვანეს პირველი საყოველთაო გაფიცვის წამომწყები ილია ჭავჭავაძის საზოგადოება. მხოლოდ ამის შემდეგ გახდნენ იძულებული აქციის ახალი წარმმართველნი შეეყვანათ საგაფიცვო კომიტეტში ილია ჭავჭავაძის საზოგადოების წარმომადგენელი (ვახტანგ ძაბირაძე), მაგრამ მხოლოდ მოჩვენებითად, სინამდვილეში კი ყველა სხდომა მისგან ფარულად ჩაატარეს.

ახლა რაც შეეხება დამოუკიდებლობის მოთხოვნას.

ილია ჭავჭავაძის საზოგადოება იყო პირველი პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელმაც ჯერ კიდევ 1988 წლის 23 ნოემბერს მიტინგზე დასვა დამოუკიდებლობის გამოცხადების საკითხი საქართველოს კონსტიტუციის 69-ე მუხლის საფუძველზე, როგორც პასუხი ახალი, მიუღებელი კონსტიტუციური დამატებებისა. რა თქმა უნდა, როგორიც არ უნდა იყოს საბჭოთა კონსტიტუცია და მისი დამატებები, საქართველომ რაც შეიძლება მალე უნდა აღიდგინოს დამოუკიდებლობა და ეს მოთხოვნა ჩვენ არც აპრილის აქციის დროს დაგვივიწყებია, მაგრამ <u>არ უნდა მოხდეს აღრევა საბოლოო მიზანსა და მისკენ მიმავალ კონკრეტულ მიზნებს შორის</u>. დამოუკიდებლობას ქართველი ერი აპრილის იმ დღეებში ვერ მიაღწევდა, ხოლო აფხაზეთის "არ არსებული" პრობლემის მოუგვარებლობამ ოზგანებს და მის ინსპირატორებს მოსკოვში დაუსჯელობის კომპლექსი გაუჩინა, <u>რის შედეგადაც 15 ივლისს სისხლიც დაიღ</u>ვარა. <u>მსხვერპლთა შორის</u> იყო აფხაზთა და ქართველთა შორის ნორმალური ურთიერთობის აღდგენისათვის მებრძოლი, ჩვენი საზოგადოების ერთ-ერთი თვალსაჩინო წევრი ვოვა ვეკუა. ჩვენთვის ასევე ნათელი იყო ისიც, რომ აქციის ახალი მიმართულება საბაბს მისცემდა კრემლს მოეწყო სისხლისღვრა და გასწორებოდა ეროვნულ მოძრაობას. არც ეს გაფრთხილებები იღეს ყურად ჩვენმა ოპონენტებმა. ის, რომ კრემლი დაინტერესებული იყო სისხლისღვრის პროვოცირებით, კიდევ უფრო ნათელი გახდა 8 აპრილს დღით, როდესაც ადგილი ჰქონდა პროვოკაციულ მცდელობას აგებულიყო ბარიკადები და ამ მიზნით მოზიდულიყო ბეტონის ფილები, ბლოკები და სხვა. ეს რომ მთავრობის მხრიდან ჩაფიქრებულ პროვოკაციის ნაწილს წარმოადგენდა, იქიდანაც ჩანს, რომ როგორც კი მიტინგზე ეს მოწოდება გაისმა, იქვე გაჩნდნენ სატვირთო მანქანები აღნიშნული მასალით. ბარიკადების აშენება რომ სრულიად ხელფეხს გაუხსნიდა სადამსჯელო ექსპედიციას მასიური ხოცვა-ჟლეტისათვის, ეს ყოველი ცოტად თუ ბევრად გონიერი ადამიანისათვის ნათელი უნდა იყოს. მხოლოდ მერაბ კოსტავას ჩარევამ იხსნა იმჟამად საქართველო ამ აშკარა პროვოკაციისაგან. მან არ დაუშვა ბარიკადების აგება. ბარიკადები რომ აგებულიყო, მსხვერპლი ოცი თუ ორმოცი კი არ იქნებოდა, არამედ პირდაპირ ტყვიამფრქვევით დაცხრილავდნენ ათასობით ადამიანს და თანაც შესძლებდნენ სრულიად გამართლებულად წარმოეჩინათ ხოცვა-ჟლეტა.

ბარიკადების გარდა დარბევის ორგანიზატორებს ჰქონდათ კიდევ ერთი მცდელობა მასობრივი ანგარიშსწორებისათვის საბაბის შექმნისა: დემონსტრანტებისათვის ალყის შემორტყმისას ისინი შეეცადნენ აეძულებინათ ხალხი შესულიყვნენ მთავრობის სახლის ეზოში. ეს პროვოკაციაც ჩაიშალა.

რბევის ფაქტები მთელმა მსოფლიომ იცის და ამაზე აღარ შევჩერდებით. სიმბოლურია, რომ რბევის დაწყებისთანავე მანამდე ხალხში მდგომი ზურაბ ჭავჭავაძე ტრიბუნის მიმართულებით გაიჭრა მოშიმშილეების მისაშველებლად. იქ დახვდა მერაბ კოსტავა. ისიც სიმბოლურია, რომ ამ საშინელი რბევისას სწორედ ეს ორნი დარჩნენ ბოლომდე და ერთმანეთის მხარდამხარ ყოველ ღონეს ხმარობდნენ განწირულთა გადასარჩენად. საბედნიეროდ, მათ ხელკეტიანებთან მოუწიათ შეხვედრა და ალესილ ბარებს გადაურჩნენ.

ზოგი ამტკიცებს, რომ 9 აპრილი დიდი გამარჯვება იყო, ჯერაც საკმარისი სისხლი არ დაღვრილა და კიდევ უფრო მეტი უნდა დაიღვაროს, რომ სწორედ ეს არის ეროვნული მოძრაობის სწორი მიმართულება. ჩვენ კატეგორიულად ვერ დავეთანხმებით ამ შეხედულებას. ჩვენ კარგად გვახსოვს, რამდენი სისხლი დაღვარა ქართველმა ერმა ბრძოლის ველზე დამოუკიდებლობისათვის, მაგრამ ვიმეორებთ: <u>ბრძოლის ველზე!</u> - სადაც <u>ორი არმია</u> ერთმანეთს უპირისპირდება და თითოეულს <u>შეუძლია</u> მიაღწიოს თუნდაც ძნელადმოსაპოვებელ გამარჯვებას, იქ მსხვერპლიც გამართლებულია. და თუკი ოდესმე ამგვარი ბრძოლის ველი წარმოდგება ქართველი ერის წინაშე, ნურვინ იფიქრებს, რომ ჩვენ სისხლით თავისუფლების მოპოვების გზას უარვყოფთ, როცა ეს რეალური და აუცილებელია. მაგრამ ჩვენ პოლიტიკურ უსუსურობად და უზნეობად მიგვაჩნია ისეთი გზა, რომელიც მოსკოვს საშუალებას მისცემს ქართველ ხალხს <u>სასაკლაო</u> მოუწყოს, რადგანაც როცა ერთ მხარეს ქალები, ბავშვები და საერთოდ მშვიდობიანი მიტინგია, ხოლო მეორე მხარეს კბილებამდე შეიარაღებული ბოროტების იმპერია, იქ მხოლოდ სასაკლაო შეიძლება გაიმართოს, ხოლო <u>სასაკლაოსათვის</u> ადამიანების გაწირვა უზნეობაა და იგი თავისუფლებას მხოლოდ დაგვაშორებს. იმპერია ინგრევა. ჩვენ ხელი უნდა შევუწყოთ მის ნგრევას და არა გავუხანგრძლივოთ მას ბატონობა საქართველოში სამხედრო ოპერაციების გზით. დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში უნდა გამოვიყენოთ ყველა მისაღები გზა: <u>სწორად წარმართული</u> მიტინგები, დემონსტრაციები, გაფიცვები კონკრეტული და რეალური მოთხოვნებით. ამასთან აუცილებელია <u>პარლამენტური</u> გზა; კომუნისტებს ხელიდან უნდა გამოვაცალოთ მორჩილი უმაღლესი საბჭო და თუნდაც ნაწილობრივ დემოკრატიული არჩევნების გზით ვაქციოთ იგი საქართველოს პარლამენტად. ასეთი კონსტრუქციული, გონივრული და ზნეობრივი გზის ყველაზე მეტად ეშინია ბოროტების იმპერიას, რადგანაც იცის, რომ ის ჭეშმარიტი თავისუფლებისაკენ მიდის.

თამარ ჩხეიძე




ფოტოზე აღბეჭდილია 9 აპრილთან დაკავშირებით შარშან ლიტვაში გამართული მიტინგის მონაწილე. პლაკატზე შემდეგი შინაარსის წარწერაა: "სტალინი მოკვდა, სტალინიზმი ცოცხალია. სტალინს არ დავიწყებია თავისი სამშობლო, მშობლიური საქართველო."

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აქტუალური ინტერვიუ

ამ დღეებში ილია ჭავჭავაძის საზოგადოების გამგეობის წევრები შეხვდნენ ლიტვის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერს, ლიტვის ერთ-ერთი ყველაზე რადიკალური ორგანიზაციის, "ლიტვის თავისუფლების ლიგის" თავმჯდომარეს ბ-ნ ანტანას ტერლიაცკასს.

გთავაზობთ მის საუბარს ილია ჭავჭავაძის საზოგადოების გამგეობის წევრ კახაბერ კახაძესთან.

კ.კ. - შესაძლებლად მიგაჩნიათ თუ არა, რომ საბჭოთა იმპერია გახდეს დემოკრატიული?

ა.ტ. - რუსეთის იმპერია გახდეს დემოკრატიული?! როგორც თოვლი ვერ გახდება ცხელი, ისევე საბჭოთა იმპერია ვერ გახდება დემოკრატიული...დასავლეთს გორბაჩოვის იმედი აქვს, ხოლო გორბაჩოვი მოხერხებულად მანევრირებს. ლიგაჩოვს იყენებს: ლიგაჩოვი გამოდის უხეშად, სტალინურად და მისი გამოსვლების ფონზე გორბაჩოვი მართლაც დემოკრატიულად გამოიყურება. ჩემი აზრით კი გორბაჩოვი ისეთივე რუსი იმპერიალისტია, როგორც ლიგაჩოვი და როგორც ყველა რუსი "დერჟიმორდა". სწორედ ისინი სხედან ძირითადად იქ, თუმცა თქვენი ქართველიც ეხმარება. როგორ არ ესმის ეს დასავლეთს? მაგალითად, ღებულობენ კანონს სსრკ-დან გასვლის შესახებ, რომელიც ფაქტიურად არგასვლის კანონია. ყრილობის შეკითხვის პასუხად გორბაჩოვმა ასე ჩამოაყალიბა სსრკ-ს პრეზიდენტის პოლიტიკა ლიტვის საკითხზე: "ლიტვის ამჟამინდელი ხელმძღვანელობის ავანტიურისტული მოქმედებები შეიძლება ძვირად დაუჯდეს, როგორც ლიტვის ხალხს, ასევე საბჭოთა კავშირსა და მთელ მსოფლიოს". ხედავთ ? ლიტვის მთავრობა ყოფილა დამნაშავე! აღარ კმარა? სტალინიც ასე ლაპარაკობდა, ხრუშჩოვიც, ბრეჟნევიც.

კ.კ. - რა თქმა უნდა. როგორი პოზიცია ეკავა თქვენს ლიგას 11 მარტამდე?

ა.ტ. - ჩვენ ვშიშობდით, რომ უზენაესი საბჭოს არჩევნებში შეიძლება უმრავლესობა კომუნისტები გასულიყვნენ, მაგრამ როდესაც უმრავლესობა არაკომუნისტები აირჩიეს, შვებით ამოვისუნთქეთ და ამჟამად ასეთი მდგომარეობით კმაყოფილები ვართ. ამჟამად უზენაესი საბჭო არაა ცუდი. რასაკვირველია, არიან ადამიანები, რომელთა ადგილი იქ არ არის. პარტია, რომელიც ფლობს მასობრივი დეზინფორმაციის საშუალებებს, შეეცადა თავისი ძველი ხალხის გაყვანას. ამჟამად ისინი 40-ნი არიან 133 -დან. რა თქმა უნდა, მათთვის ესეც ბევრია.

კ.კ. - როგორია ამჟამად თქვენი ურთიერთობა საუდისთან?

ა.ტ. - ადრე მასთან, რა თქმა უნდა, ძალიან ცუდი ურთიერთობა გვქონდა. მაგრამ ამჟამად ჩვენ უნდა დავამტკიცოთ, რომ ერთიანნი ვართ და მთლიანად მხარს ვუჭერთ არჩეულ პარლამენტს და თავმჯდომარე ლანდსბერგისს. ლანდსბერგისს მე ბევრს ვედავებოდი და საერთოდ ვერ ვეწყობით ერთმანეს, მაგრამ დღეს მიმაჩნია, რომ მან ფრიადზე ჩააბარა პოლიტიკური სიმწიფის გამოცდა. მაგრამ ხელისუფლება ცდილობს ჩამოაგდოს იგი და მის ადგილას კომპარტიის პირველი მდივანი ბრაზაუსკასი გაიყვანოს, რომელსაც არა აქვს, ასე ვთქვათ, საჭირო პოლიტიკური ხერხემალი. ის სათამაშოა გორბაჩოვის ხელში, რომელმაც წამოაყენა იმ თანამდებობაზე. ბრაზაუსკასი ცუდი კაცი არ არის, მაგრამ დღეს ერთს ამბობს, ხვალ მეორეს. როგორც პოლიტიკოსი, არ არის მტკიცე.,,სამწუხაროა, რომ დასავლეთის სახელმწიფოებში ჭარბობს გულგრილობის სულისკვეთება. მაინც არაფერი გამოვაო, ფიქრობენ. დასავლეთი არ არის მაინც და მაინც დაინტერესებული ჩვენი ცნობით.

კ.კ. - თქვენ აწარმოებთ ეროვნულ-განთავისუფლებელ მოძრაობას საბჭოთა იმპერიაში, ამ ციხეში. და ჩვენ ალბათ თქვენგან ბევრი რამის სწავლა გვმართებს. თქვენი გამოცდილება უნდა გავითვალისწინოთ.

ა.ტ. - მე ვხედავ, რომ თქვენთან დიდი მისწრაფებაა ალტერნატიული საბჭოსშექმნისაკენ. ამბობენ, რომ საქართველოს უზენაესი საბჭო ეს პარტიის, კრემლის იარაღია, და, აი, ჩვენ შევქმნით ალტერნატიულ საბჭოს, რომელსაც ექნება მორალური და იურიდიული ძალა, ილაპარაკოს ქართველი ერის სახელით. მე მიმაჩნია, რომ ეს ფრიად საფრთხილო საქმეა, თორემ აი ნახეთ: ესტონეთში აირჩიეს კონგრესი სამოქალაქო კომიტეტებისაგან, დასავლეთი კი სწორედ ამაზე არ რეაგირებს. მე, რა თქმა უნდა, ვიცი დასავლეთის გულგრილობა, მაგრამ მაინც ლიტვის უზენაესი საბჭოს კანონების წინააღმდეგ გამოსვლა მათ არ შეუძლიათ. ყველაფერი შეესაბამება კანონს, საერთაშორისო სამართალს. ლიტვის მთავრობა ყველაფერს სწორად აკეთებს. დასავლეთს მხოლოდ იმის ეშინია, რომ ლიტვის პრობლემამ გარდაქმნას არ შეუშალოს ხელი. აი, ესტონეთის კონგრესზე კი არაფერს ამბობენ, სრულიად გაჩუმებულნი არიან. ე.ი. იგნორირებას უკეთებენ. თქვენს შემთხვევაშიც

ასე არ მოხდეს. რაც ჩვენთვის თითქოს სწორია, იმას საერთაშორისო სამართალი არ ცნობს. თქვენი ალტერნატიული საბჭო აუცილებლად უნდა შეიქმნას ოქტომბერ-ნოემბრის არჩევნებამდე, მაგრამ შემდეგ უნდა ეცადოთ, რომ თქვენ, თქვენი ხალხი, საქართველოს პატრიოტები მოხვდნენ უზენაეს საბჭოში, მოიპოვონ იქ უმრავლესობა, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მაგიერ უწოდონ მას საქართველოს უზენაესი საბჭო ან საქართველოს სეიმი. საარჩევნო პლატფორმაში უნდა იყოს იმაზე ლაპარაკი, თუ რას გააკეთებთ, უზენაეს საბჭოში რომ მოხვდებით.

კ.კ. - ჩვენი საზოგადოებაც ასე მიიჩნევს, მაგრამ არის ზოგი პარტია და პოლიტიკური საზოგადოება, რომლებიც ფიქრობენ, რომ ოქტომბერშიც ბოიკოტი უნდა გამოვუცხადოთ არჩევნებს და ვინც მონაწილეობას მიიღებს არჩევნებში, ისინი ხალხის მტრები იქნებიან.'

ა.ტ. - ულტრარადიკალიზმი არაა საჭირო. კომპარტია განზრახ ცდილობდა ჩვენს წარმოჩენას ულტრარადიკალებად. ჩვენ სსრკ უზენაესი საბჭოს არჩევნებს ბოიკოტს ვუცხადებდით და ახლა გამოჩნდა, რომ სწორადაც ვიქცეოდით. გორბაჩოვი გვსაყვედურობს, რომ ადრე სტალინი გაიძულებდათ არჩევნებში მონაწილეობას, ხრუშჩოვიც, ბრეჟნევიც, ახლა კი არავის გაუხდიხართ იძულებულნი და თქვენ თვითონ აირჩიეთ სსრკ უზენაესი საბჭო, ე.ი. სცანით ეს ხელისუფლება. სსრკ უზენაესი საბჭოს ბოიკოტის საკითხში სწორი ვიყავით, მაგრამ ახლა ჩვენ ვიგრძენით,, რომ ამჯერად არ შეიძლება ბოიკოტირება, თუმცა ჩვენთანაც ბევრი აზრი იყო ამის შესახებ. ქართველების გავლენით კინაღამ ჩვენც გადავწყვიტეთ ბოიკოტის გამოცხადება. ჩვენ, რომ ბოიკოტი გამოგვეცხადებინა არჩევნებისათვის, პოლიტიკურ ლეშად ვიქცეოდით. თუ უზენაეს საბჭოში უმრავლესობა პატრიოტები გავლენ, რომლებიც სპეციალურ კანონებს მიიღებენ, თუ უზენაესი საბჭო პატრიოტული გახდება, თქვენი ორგანიზაციები, რომლებიც ბოიკოტს უცხადებენ არჩევნებს, პოლიტიკურ ლეშად იქცევიან.'

კ.კ. - ბოლშევიკებმა თავისი საქმე გააკეთეს, -გადაღეს არჩევნები და უზენას საბჭოში დარჩნენ.

ა.ტ. - ჩემის აზრით გადავადებით თქვენ მხოლოდ მოიგეთ. აქამდე როგორც მესმის, ოპოზიცია არ იყო მზად. ახლა დრო საკმარისია, უნდა მოემზადოთ, უნდა წამოაყენოთ კანდიდატები და მონაწილეობა მიიღოთ ამ არჩევნებში. აუცილებლად უნდა მიიღოთ მონაწილეობა არჩევნებში! აუცილებლად! თორემ თქვენ აღმოჩნდებით პოლიტიკური ცხოვრების გარეთ.



კ.კ. - ჩვენც ასე ვფიქრობთ.

ა.ტ. - ეს კი საშიში საქმეა, საშიში თამაშია. არ გინდათ მეგობრებო! მე თქვენ ამას თავს არ გახვევთ, მაგრამ ასე ვფიქრობ. ზოგი ორგანიზაცია, -არ დავასახელებ, რომელი, -დუმდა, დუმდა, ხოლო არჩევნების დღეს მოუწოდეს ბოიკოტისაკენ. გესმით? -არჩევნების დღეს! ეს ხომ სასაცილოა.

კ.კ. - ახლა სსრკ უზენაეს საბჭოში ღებულობენ ახალ კანონებს. რას იტყვით მათ შესახებ?

ა.ტ. - უნდა იყვიროთ მთელი ხმით, მოაწყოთ დემონსტრაციები ამ კანონების წინააღმდეგ, რათა მთელმა მსოფლიომ მიაქციოს ყურადღება. თქვენ, თქვენი დემონსტრაციებით მიიქციეთ მსოფლიოს ყურადღება და აი გუშინ მე მოვისმინე რადიოთი, რომ ისინი მხოლოდ საქართველოს აყენებენ ბალტიისპირეთის გვერდით, რომ ეს ოთხი ხალხი მიისწრაფვის დამოუკიდებლობისაკენ. არ, მესმის, რატომ არ გულისხმობენ მოლდავეთსაც.'

კ.კ. - ზოგი ორგანიზაცია სრულიად გულუბრყვილოდ ფიქრობს, რომ ეს კანონები არ წარმოადგენს ჩვენთვის პრობლემას: გავალთ საბჭოთა კავშირიდან და გათავდა.

ა.ტ. - არა. საჭიროა მოაგროვოთ ასობით ათასი ადამიანი და უთხრათ, რას აკეთებს იმპერია. თქვენთვის ძალიან ცუდია, რომ თქვენი დაპყრობის შესახებ მსოფლიომ ბევრად ნაკლები იცის, ვიდრე ბალტიისპირეთზე. ბალტიისპირეთი არ უწევდა წინააღმდეგობას იარაღით ხელში, როგორც საქართველო მეთერთმეტე არმიას. და თქვენ მთელი ხმით უნდა ილაპარაკოთ, ილაპარაკოთ, ილაპარაკოთ... უნდა მოაწყოთ მიტინგები, ამ კანონების წინააღმდეგ, თორემ შემდეგ გკითხავენ, რატომ იყავით ჩუმად, თუ არ მოგწონდათ. აუცილებლად და გადაუდებლად უნდა გამოდიოდეთ ამ კანონების წინააღმდეგ, სულ. უნდა გამოდიოდეთ და გამოდიოდეთ. გასვლის კანონი როგორია? რეფერენდუმი? ხუთი წელი იცადე, ხოლო შემდეგ ბედს წყვეტს სახალხო დეპუტატთა ყრილობა, რომელშიც უმრავლესობა იმპერიალისტური მიდრეკილებების მქონე რუსებს ეკუთვნით. არავითარი გასვლა! ეს არის კანონი არ გასვლის შესახებ.

კ.კ. - ჩვენი მოძრაობის მნიშვნელოვანი ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს მათი პრობლემა არ არის.

ა.ტ. - ეს ძალიან დიდი პრობლემაა და ისინი ძალიან ცდებიან. უნდა გამოიწვიოთ ხალხი ქუჩაში, მოაწყოთ მსვლელობები ამ კანონის წინააღმდეგ, მიიქციოთ მთელი მსოფლიოს ყურადღება. მე გაოცებული ვარ, რომ ხალხი გაჩუმებულია. ლიტვაში, მაგალითად, ამ კანონზე ლაპარაკი უკვე აღარაა საჭირო. უნდა გამოცხადდეს შიმშილობაც, გაფიცვები ალბათ არ არის საჭირო, ეკონომიკა ისედაც მომსპარია. მშვენიერია არმიის ბოიკოტის აქციაც. გულუბრყვილობაა იმის ფიქრი, რომ თქვენ მოგცემენ ეროვნული არმიის შენაერთებს. არასოდეს დაუშვებენ, რომ ქართველებს ხელში მისცენ იარაღი. ამას ნუ იფიქრებთ. რადგან თქვენ ოკუპირებული ქვეყანა ხართ, უნდა იხელმძღვანელოთ 1949 წლის 12 აგვისტოს ჟენევის კონვენციით, რომლის თანახმადაც ოკუპირებულ ქვეყანაში ხალხი არ მსახურობს ამ ჯარში. დაბეჭდეთ ჟენევის კონვენცია ხშირ-ხშირად.

კ.კ. - კიდევ ერთი კითხვა: იმპერიას აქვს ლიტვისადმი ტერიტორიული პრეტენზიები. როგორ უყურებს ლიტველი ხალხი ამ საკითხს? ზოგი ამბობს, რომ შესაძლოა რაღაც ტერიტორიები ლიტვამ იმპერიას გადასცეს. რას იტყოდით ამის შესახებ?

ა.ტ. - არა. ჩვენი ტერიტორია არის 65 ათასი კვ.კმ., 1920 წლის 12 ივლისის საზავო ხელშეკრულების თანახმად უნდა იყოს 88 ათასი კვ.კმ. აი, რამდენი მიწა გვაქვს გადაცემული პოლონეთისათვის, ბელორუსიისათვის... ჩვენ ტერიტორიულ საკითხს ახლა არ ვაყენებთ, მთავარია დამოუკიდებლობა. მე არ მესმის სომხებისა, ტერიტორიულ პრეტენზიებს რომ აყენებენ. ახლა ნომერ პირველი მტერი მოსკოვია და ტერიტორიებზე ყოველი დავა უნდა გადაიდოს. შემდეგ მშვიდ ატმოსფეროში დასხდებიან იურისტები, ისტორიკოსები და დიპლომატები და გადაწყვეტენ ამ საკითხს. ბელორუსიასთან გვაქვს დიდი პრეტენზიები, მაგრამ ამჟამად არაფერს ვამბობთ ამის შესახებ.

კ.კ. - თქვენ, როგორც ვიცით, ყოფილი პოლიტპატიმარი ბრძანდებით. სად და რამდენი ხანი იმყოფებოდით პატიმრობაში?

ა.ტ. - ციხეებში, ბანაკებში, კალიმის გადასახლებაში გავატარე მხოლოდ 11 წელი. ეს ჩვენი მასშტაბით საბავშვო ვადაა. ჩვენთან ბევრნი არიან ისეთნი, ნაცნობები, მეგობრები, რომლებმაც 25-25 წელი იჯდნენ. ჩვენთან უზენაესი საბჭოს დეპუტატი 37 წელი იჯდა, მეორე 22 წელი. აი, ასეთი ხალხი მოხვდა ჩვენთან უზენაეს საბჭოში, მიუხედავად იმისა, რომ მთავრობა მათ წინააღმდეგ ცილისწამების კამპანიას აწარმოებდა. ხალხმა მათ მხარი დაუჭირა.

კ.კ. - როგორი სიტუაცია და განწყობილება დატოვეთ ლიტვაში?

ა.ტ. - გააჩნია ადამიანს. უმრავლესობა, რა თქმა უნდა, ამაღლებულ განწყობაზეა, უკეთესი დროის მოლოდინში არიან. თუმცა მშვენივრად გვესმის, რას წარმოადგენს საბჭოთა იმპერია, და რამდენად გულგრილია დასავლეთი დამონებულ ერთა ბედისადმი. ასევე მშვენივრად გვესმის, რომ გორბაჩოვს შეუძლია შემოიღოს საპრეზიდენტო მმართველობა ლიტვაში.

კ.კ. - მახსოვს, შარშან, როცა სტუმრები გვყავდა თქვენი ლიგიდან, ვამბობდით, რომელიც პირველი გათავისუფლდება, მეორეს დაეხმარებაო.

ა.ტ. - მადლობელი ვარ თქვენი მორალური დახმარებისა. მაგრამ კარგი იქნება, თუ სხვადასხვა პარტიის წარმომადგენელთა დელეგაცია ჩამოხვალ ლიტვაში. სამწუხაროა, რომ თქვენი სხვადასხვა ორგანიზაციები საერთო ენას ვერ ნახულობ.

(გაგრძელება მე-4 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აქტუალური ინტერვიუ

(დასასრული)

კ.კ. – აი, მაგალითად, არჩევნებზე გვქონდა აზრთა სხვაობა. მათ პირდაპირ განაცხადეს, რომ ვინც ბოიკოტს არ უცხადებს არჩევნებს, მათ არ შეუძლიათ ფორუმში შესვლაო.

ა.ტ. – სისულელეა. მეც, როცა დემოკრატებთან ერთად "ლიტვის დამოუკიდებლობის კავშირის" შექმნას ვაპირებდით, ვეუბნებოდი დემოკრატებს, – თუ თქვენ არჩევნებში მონაწილეობას მიიღებთ, საერთო ენას ვერ ვიპოვით–მეთქი. მაგრამ მერე გადავიფიქრე, რადგან ეს სისულელეა. აი, ამიტომაც მე გთხოვთ, რომ ჩამოხვიდეთ, ესაუბროთ დეპუტატებს, ბევრ მათგანს ვიცნობ და შემიძლია გაგაცნოთ ისინი. ჩემი ძმაც დეპუტატია. მორალური მხარდაჭერა იქნება, თუ ჩამოხვალთ და მოგვილოცავთ. კარგი იქნება, აღდგომის შემდეგ თუ ჩამოხვალთ. ეს მორალური მხარდაჭერა იქნება და თანაც თქვენი თვალით ნახავთ, როგორ ხდება ეს ყოველივე. მე ვისურვებდი, ეს ენახათ სწორედ იმ ადამიანებს, ვინც ბოიკოტს უცხადებს არჩევნებს.

კ.კ. – მაგრამ ისინი პირდაპირ აცხადებენ, რომ ლიტვა ჩიხშია, რომლიდანაც ვერ გამოვა.

ა.ტ. – ო, არა. იმას უკვე ველარაფერი შეცვლის, რაც უზენაესმა საბჭომ მიიღო. მე მიტინგზე გამოვედი საიუდისის მხარდასაჭერად. თქვენ ხომ იცით, როგორი წინააღმდეგი ვიყავი მე ჩვენი საიუდისის. ახლაც მიმაჩნია, რომ ეს ორგანიზაცია მოსკოვმა, კომპარტიამ შექმნა ეროვნული მოძრაობის შესაჩერებლად. როცა ჩვენ დავიწყეთ მიტინგების ორგანიზება, ჩვენი იზოლირებისათვის შექმნეს საიუდისი. გარკვეული დროის განმავლობაში საიუდისი წარმოადგენდა ბრმა იარაღს, შემდეგ მასში გაიმარჯვეს ეროვნულმა ძალებმა. ამჟამად ის ალარ არის ბრმა იარაღი. ახლა საიუდისმა მიიღო 11 მარტის დეკლარაცია და ამას ვერავინ შეცვლის, გათავდა. ახლა დასავლეთისთვისაც ნათელი გახდა, ვინ არის გორბაჩოვი. ორი წლის განმავლობაში ცდილობდნენ საიუდისის მეშვეობით დასავლეთისათვის შეექმნათ ილუზია, რომ ლიტველები, ლატვიელები და ესტონელები მიეჩვიენ ოკუპაციას და მხოლოდ ეკონომიკურ და კულტურულ ავტონომიას ესწრაფვიან. ახლა კი ხედავენ, რომ ეს ასე არ არის, და ამას ქართველებიც დაადასტურებენ. მაგრამ საჭიროა უფრო მეტი სიმტკიცე და გადამჭრელი მოქმედებანი. არავითარ შემთხვევაში არჩევნებს ბოიკოტი არ უნდა გამოვუცხადოთ. ბოიკოტი იმპერიული უმაღლესი საბჭოს შარშანდელი 26 მარტის არჩევნებისათვის უნდა გამოგვეცხადებინა.

მე ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ თქვენი კომუნისტები პრესის მეტ თავისუფლებას უშვებენ, ვიდრე ეს იყო ჩვენთან. აი, "ლიტვის თავისუფლების ლიგის" განცხადებას პრესა არასოდეს მიიღებს, თქვენთან კი გაზეთებში არის არაფორმალურ გაერთიანებათა გამოსვლები.

კ.კ. – თუ მხედველობაში მივიღებთ ილია ჭავჭავაძის საზოგადოებას, საქმე პირიქითაა. ჩვენთან ტელევიზიაშიც და გაზეთებში დიდი რეკლამაა ბოიკოტის მომხრე ფორუმის, ჩვენთვის კი შეუძლებელი ხდება ხოლმე რადიოთი და ტელევიზიით განცხადების გაკეთება. ისინი რომ უბრალოდ ბოიკოტს აცხადებდნენ, კიდევ არაფერი, მაგრამ ძალიან აქტიურად უშლიან ხელს სხვებსაც მონაწილეობის მიღებაში.

ა.ტ. – საოცარია...




• • •

პატივცემულო ვილნიუსელებო!

ჩვენ არკადი მურაშოვთან ერთად ჩამოვედით მოსკოვიდან, ე.ი. საბჭოთა კავშირიდან, რათა აშკარად და უპირობოდ დავუჭიროთ მხარი ლიტვის უზენაესი საბჭოს 11 მარტის დადგენილებას.

დიდი გამჭრიახობა არაა საჭირო იმის მისახვედრად, რომ ეს დადგენილება არის ლიტველი ხალხის ნებისა და სწრაფვის გამომხატველი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ. საჭირო არაა ერუდიტი ან პროფესიონალი ისტორიკოსი იყო, რომ ამ დადგენილებაში დაინახო ლიტველი ხალხის საუკუნოვანი ლტოლვა თავისუფლებისაკენ. არც იმის დასანახად არის საჭირო ისტორიკოსობა, რომ ეს დადგენილება არის დასასრული ჰიტლერისა და სტალინის სამარცხვინო გარიგებისა, რომლითაც გაყიდეს ლიტველი ხალხის ინტერესები. გაივლის რალაც დრო, ამაში დარწმუნებული ვარ, ყველა ხალხის ცნობიერება სსრკ–ის ევროპის უზარმაზარ ტერიტორიაზე შეიცვლება და ეს თარიღი, 11 მარტი აღინიშნება, როგორც რუსეთის იმპერიის, მსოფლიოს უკანასკნელი იმპერიის დასასრული. მე ვამბობ გაივლის რალაც დრო მეთქი იმიტომ, რომ ახლა, სამწუხაროდ, მოსკოვი, მოსკოვის მთავრობა ყოველი თავისი ნაბიჯით გვიმტკიცებს იმპერიული ტრადიციებისადმი ურყევ ერთგულებას. ამ ამბიციების დაძლევა მოგვიწევს, რადგან ისე ცხოვრება, როგორც აქამდე ცხოვრობდა საბჭოთა კავშირის ხალხი, შეუძლებელია.

მინდა გამოვთქვა იმედი, რომ საბჭოთა კავშირში, პირველ რიგში რუსეთის დემოკრატიული ძალები აქტიურად დაეხმარებიან ლიტველ ხალხს ჭეშმარიტი სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის მოპოვების საქმეში იმიტომ, რომ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა ლიტველ ხალხთან ერთად არის აგრეთვე ბრძოლა ჩვენი – რუსეთის, უკრაინისა და საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. მე კიდევ ერთხელ, სულითა და გულით გისურვებთ სიკეთესა და ბედნიერებას თავისუფალ, სუვერენულ და დამოუკიდებელ ლიტვაში.

**იური აფანასიევი**

ისტორიკოსი

7.04.90

გამოსვლა მიტინგზე ვილნიუსის პარკში.

• • •

1990 წლის 24 მარტს თბილისში კინოს სახლთან გაიმართა მრავალათასიანი მიტინგი ლიტვის დამოუკიდებლობის მხარდასაჭერად, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა დემოკრატიულმა ოპოზიციურმა ორგანიზაციებმა. მიტინგი მიჰყავდა ილია ჭავჭავაძის დარბაზის წევრს გელა ნიკოლაიშვილს. მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ინტელიგენციის წარმომადგენლები, ლიტველი სტუმრები. მიტინგზე მოსულმა ლიტველებმა შეასრულეს დამოუკიდებელი ლიტვის ჰიმნი. რუსთაველის პროსპექტზე მსვლელობის შემდეგ მიტინგი გაგრძელდა და დასრულდა მთავრობის სახლთან. მიტინგმა მიიღო რეზოლუცია, რომელიც აქვე ქვეყნდება.

## ლიტვის დამოუკიდებლობის მხარდამჭერი მიტინგის

# რეზოლუცია

ლიტვის მიერ დამოუკიდებლობის აღდგენა და ამასთან დაკავშირებული მოვლენები მთელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია. არსებობს საშიშროება, რომ საბჭოთა რუსეთის იმპერიული ძალები ადვილად ვერ შეეგუებიან დატყვევებული ერის განთავისუფლების პრეცედენტს. ჩვენი მოქალაქეობრივი ვალია, ამ მეტად კრიტიკულ სიტუაციაში მხარი დავუჭიროთ ლიტველ ხალხს.

1990 წლის 24 მარტს ილია ჭავჭავაძის საზოგადოების, საქართველოს სახალხო ფრონტის, უნივერსიტეტის პრესკლუბის, თბილისის პოლიტიკური კლუბის, ივანე ჯავახიშვილის საზოგადოების, საქართველოს რესპუბლიკური პარტიის, არჩილ ჯორჯაძის საზოგადოების, საქართველოს ეროვნულ–განმათავისუფლებელი ორგანიზაციის (სეგო), საქართველოს ვენის კავშირის, საქართველოს ინვალიდთა ასოციაციის (ღვთის შვილთა კავშირი), საქართველოს მწვანეთა პარტიის, ასოციაცია – "ეროვნული თანხმობის" მიერ ლიტვის მხარდასაჭერად თბილისში გამართული მრავალათასიანი მიტინგის მონაწილენი მოვითხოვთ:

1. საბჭოთა მთავრობამ დაუყოვნებლივ სცნოს ლიტვის დამოუკიდებლობა;
2. შეწყვიტოს ლიტვის საშინაო საქმეებში ჩარევა;
3. დაუყოვნებლივ მოხსნას ლიტვის ეკონომიკური ბლოკადა;
4. დაუყოვნებლივ გამოიყვანოს ლიტვიდან საოკუპაციო ჯარები;
5. სასწრაფოდ დაიწყოს მოლაპარაკება ლიტვის მთავრობასთან სამხედრო და ეკონომიკურ ურთიერთობათა მოწესრიგებისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მეთვალყურეობის ქვეშ;
6. საქართველოს უზენაესმა საბჭომ დაუყოვნებლივ გამოაცხადოს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა და სცნოს ლიტვის დამოუკიდებლობა;
7. საქართველოს მთავრობამ ოფიციალურად განაცხადოს, რომ საქართველოს არავითარი პოლიტიკური, ეკონომიკური და ტერიტორიული პრეტენზიები არ გააჩნია ლიტვის სახელმწიფოსადმი;
8. საქართველოს მთავრობამ ერთ–ერთი უახლოესი არასამუშაო დღე გამოაცხადოს ლიტვის დახმარების საქველმოქმედო შრომით დღედ და იმ დღის ხელფასი და მოგება გადაერიცხოს ლიტველ ხალხს;
9. საქართველოს რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა "ლიტვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის" ნაცვლად ლიტვის დამოუკიდებელი სახელმწიფო მოიხსენიონ "ლიტვის რესპუბლიკად";
10. მიმართვა გაეგზავნოს ლიტვის რესპუბლიკის არალიტველ მოსახლეობას მხარი დაუჭირონ ლიტვის დამოუკიდებლობას;
11. დღევანდელი მიტინგის მიერ მიღებული რეზოლუცია გაეგზავნოს ბ–ნ მიხეილ გორბაჩოვს, ბ–ნ ვიტაუტას ლანდსბერგისს, ბ–ნ გივი გუმბარიძეს და ბ–ნ პერეს დე კუელიარს, აგრეთვე გამოქვეყნდეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით;
12. საბჭოთა რუსეთის იმპერიის მიერ ლიტვის რესპუბლიკის წინააღმდეგ სამხედრო ძალის გამოყენების შემთხვევაში მივმართავთ ჩვენს ხელთ არსებულ ყველა მშვიდობიან პოლიტიკურ საშუალებას – საყოველთაო გაფიცვებს, მანიფესტაციებს და ა.შ.

თბილისი, 1990 წლის 24 მარტი.

# მიმართვა

## ლიტვის არალიტველი მოსახლეობისადმი

მოგმართავთ 1990 წლის 24 მარტს თბილისში გამართული ლიტვის დამოუკიდებლობის მხარდამჭერი მრავალათასიანი მიტინგის მონაწილეთა დავალებით.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირი მხოლოდ ტყუილსა და ძალადობაზე დაყრდნობით იყო შეკოწიწებული. "ხალხთა საპყრობილის" დანგრევა – ისტორიული კანონზომიერებაა. იმპერიის შენარჩუნება, მიუხედავად იმპერიული ძალების დიდი სურვილისა, ყოვლად უიმედოა და ყოველი მცდელობა ამ მიმართულებით განწირულია.

ლიტვის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა – ეს არის ერთა თვითგამორკვევის პრინციპის ცხოვრებაში რეალური განხორციელება და თქვენ, ლიტვის ე.წ. რუსულენოვანი მოსახლეობა, რომლებმაც მეორე სამშობლო ლიტვის კურთხეულ მიწაზე ჰპოვეთ, გაგებით უნდა მოეკიდოთ ლიტველი ხალხის თავისუფლებისაკენ სწრაფვას.

თქვენი ვალია ლიტველ ხალხთან ერთად იბრძოლოთ დამოუკიდებელი, დემოკრატიული ლიტვისათვის.

ლიტვისათვის ამ ისტორიულ დროს არ უნდა დაგებინდოთ გონება, და არ უნდა დაადგეთ ლიტვისა და ლიტველების ღალატის გზას.

თქვენ არ უნდა გახდეთ "ბოროტების იმპერიის" ლეგიონერები, და მაშინ არ მოგიწევთ ლიტვის სამარცხვინოდ დატოვება, ისევე როგორც "რუსულმა ხიშტმა" დატოვა ავღანეთი და როგორც სტოვებს აღმოსავლეთ ევროპას.

გონს მოდით! დაუფიქრდით, როგორ "სახელს" უმზადებთ იმ ერებს რომლებსაც თქვენ წარმოადგენთ ლიტვაში.

გონს მოდით ვიდრე გვიან არ არის!

თავისუფალი, ლიტვა იქნება თავისუფლების საიმედო გარანტია, ლიტვაში მცხოვრები სხვადასხვა ერის, ლიტვის ერთგული წარმომადგენლებისათვის.

გაუმარჯოს დამოუკიდებელ, დემოკრატიულ ლიტვას!

გაუმარჯოს ჩვენს და თქვენს ბრძოლას თავისუფლებისათვის!

ილია ჭავჭავაძის საზოგადოება. თბილისი 26.03.1990წ.

# ზვიად გამსახურდიას სიტყვა

## წარმოთქმული 25 მარტს მთავრობის სახლის წინ გამართულ მიტინგზე

### (ამონაწერი ფირიდან)

...მეგობრებო, წამოყო თავი ცრუ მოძრაობამაც საქართველოში. ეს არის ის მოძრაობა, რომელიც შეიქმნა ცკ-ს ხალიჩებიან კაბინეტებში. იქ დაიგეგმა ეს, იქ დამუშავდა ეს გეგმა, და კიდევ უფრო ჩრდილოეთით დამუშავდა, იქ, მეგობრებო, სპეციალური შეთქმულება რომ არსებობს ქართველი ერის წაინააღმდეგ და ჩვენი თანამემამულე, რომ უდგას ამას სათავეში, აი იმან დაგეგმა. პირდაპირ გეტყვით, არ დაგიმალავთ, ჩემს წინააღმდეგ შეაქმევინეს ორგანიზაციები, ტერორისტულიც, სხვათა შორის, რომ მე როგორმე მომსპონ და ჩვენი მოძრაობა მოსპონ და შეაქმნევინეს იდეოლოგიური ცენტრები ამისა, რომელთაგან ერთ-ერთი არის ილია ჭავჭავაძის ცრუ საზოგადოება, რომელიც ცენტრალური კომიტეტის აგენტებმა შექმნეს, დიახ, აგენტებმა შექმნეს, გამოგლიჯეს იქ ინიციატივა ჩვენს მეგობრებს, ირაკლი წერეთელს, მერაბ კოსტავას და შექმნეს კოლაბორაციონისტული, ცკ-ს ებიდით შექმნეს, ცკ-ს საიდუმლო ინსტრუქციებით შექმნეს ეს დაჯგუფება, რომელიც თავის თავს ილია ჭავჭავაძის საზოგადოებას უწოდებს და ამ წმინდა სახელს ამ ბინძური გეგმისათვის იყენებს. და ეს საზოგადოება ბლოკირებული არის დღეს ე.წ. რესპუბლიკურ პარტიასთან და ვითომდაც სეგოსთან. რა სეგოა ის სეგო, საქართველოს ეროვნულ-გამანთავისუფლებელი ორგანიზაცია, რომელიც საბჭოთა არჩევნებისათვის იბრძვის, მოუწოდებს, რომ მიიღეთ საბჭოთა არჩევნებში მონაწილეობაო. აი, ასეთი ხალხი გაერთიანდნენ ჩვენს წინააღმდეგ და სახალხო ფრონტის კორუმპირებული ელემენტები მიიმხრეს და შექმნეს ეხლა ბლოკი და უნდათ, რომ ჩვენი მოძრაობა ჩაახშონ, ჩვენ იზოლაციაში მოგვაქციონ, ფორუმი კანონგარეშე გამოაცხადონ და კრემლის ხაზი გაატარონ ეროვნულ მოძრაობაში. მაგრამ ეს მათ არ ეღირსებათ, მეგობრებო! (მქუხარე ტაში). ეს არის ხალხი, რომლებიც, რომლის ლიდერებიც პირდაპირ, ღიად მოითხოვდა ნახევარი მილიონი თურქის შემოსახლებას საქართველოში, მეგობრებო, პირდაპირ პრესაში მოითხოვდნენ ამას, ნახევარი მილიონი თურქი შემოვასახლოთ, თორემ ძალით შემოვლენო, რასაც ნიშანოვი გვეუბნება და ლუკიანოვი, ზუსტად იმას გვეუბნებიან ესენი. იმავე ნიშანოვის დავალებით, სხვათა შორის, მათი ერთ-ერთი ინსპირატორი და ლიდერი რევაზ ჩხეიძე ცდილობდა ამის ორგანიზებას, ამ ანტიქართული აქციისას თურქთა ნახევარი მილიონი მასის შემოსახლებას და ამათ ლიდერებს იყენებდა და დააწერინა, რომ ჯობია ნებით შემოვუშვათ, თორემ ძალით შემოვლენო. ე.ი. ჩვენს წინაპრებს რომ ეთქვათ, ჯობია შაჰ-აბასი ნებით შემოვუშვათ, თორემ ძალით შემოვაო. აი ასეთი პოზიცია უნდა დაგვეკავებინა თურმე ჩვენ, და დღესაც მათი წყალობით აეროპორტში ველარ გაგვიჩერებია ეს ზღვა, შემოდის და შემოდის თურქ-მესხთა მასები. აგერ არ არის აზერბაიჯანის საზღვრამდე და ყველგან, და ეს კოლაბორაციონისტული, ეს მოღალატური საზოგადოება კიდევ იმაღლებს ხმას ჩვენი მოძრაობის წინააღმდეგ, ფორუმის წინააღმდეგ და თურმე ფორუმი ეროვნული მოძრაობის გამომხატველი არ ყოფილა. აი, როგორ მოგწონთ ეს?! მაგრამ ეს ყოველივე ჩვენი ბრალია, მეგობრებო, ჩვენი ზედმეტი ჰუმანიზმის ბრალია და ზედმეტი დემოკრატიზმის. დემოკრატიასაც უნდა თავის საზღვრები, ეს არაერთხელ მითქვამს.

~~აქეთ და~~ დემოკრატები ვართ და ყველა ანტიეროვნული და მოღალატური ძალა ვათარეშოთ? ...ეს არ არის სწორი... აი ამას ყველას გასაგონად ვამბობ. ყველას ეხება ეს. ჩვენს ლიდერებსაც ეხება. ზედმეტი დემოკრატიზმის თქვენ მიაღწევთ იმას, რომ ინიციატივას ჩაიგდებს მოღალატური კრემლის ჯაშუშების ორგანიზაციები. აი, ნახავთ თქვენ ამას, თუ ჩვენ არ გავამკაცრეთ მხილება იმ ანტიქართული ძალებისა, რომლებიც წმინდა სახელებით ინიღბებიან... დიახ, ვითომდაც ეკლესიებს აშენებენ იქ... მაშინ, როდესაც თათრის ფაშების, ახალციხის ფაშების გზას ადგანან, მოღალატურ




გზას, „თათრის ფაშობა იშოვა, სულაც დაივიწყა ღმერთი." აი, ამ გზას მისდევს, კრემლის პოლიტიკას ანხორციელებს, ნახევარი მილიონი თურქის შემოყვანა დააპირა და ახლა ეკლესიას აშენებს, რომ ეკლესიით მოინანიოს ეს ყოველივე. ეკლესია და ღმერთი ორგულს და ორპირს არ ღებულობს, ერის მოღალატეს არ ღებულობს. ეს იცოდნენ მაგათ! (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში). ღვთის მოღალატეს და ერის მოღალატეს ეკლესია არ მიიღებს. მე ვუსაყვედურე, დასამალი არა მაქვს, ჩვენს პატრიარქს ილია მეორეს, თქვენ ნუ უქმნით მათ რეკლამას, თქვენით უნდა აღიდგინონ ავტორიტეტი, დაფარონ თავიანთი დანაშაულები. პირდაპირ განვაცხადე, მიუხედავად იმისა, რომ მორწმუნე ვარ და პატრიარქის წინაშე ძალიან დიდი მორიდებაც მაქვს და ყველაფერი, მაგრამ პირუთვნელად მე ყველას ვეტყვი - სიმართლეს. აი, ესაა, მეგობრებო, გააქტიურდნენ ეს ძალები და არც ბატონ ნოდარ ნათაძეს არ უნდა ზედმეტი დათმობები, არ უნდა გამოვავლინოთ ჩვენ ბატონი ნოდარ ნათაძის კურსის წინაშე. მე არ ვიცი, ნებსით თუ უნებლიედ მან გააერთიანა მტრული ძალები, ანტიეროვნული ძალები თავის სახალხო ფრონტის გამგეობაში, რომელთანაც ბლოკირებულია ეს ჩემს მიერ ხსენებული ჯაშუშური ორგანიზაციები, საბჭოთა დაზვერვის გამოცდილი აგენტები. ეს პიროვნება, რომელიც ეხლა ეკლესიით ინიღბება, ეს არის საბჭოთა დაზვერვის უმძლავრესი ფიგურა, რომელიც საფრანგეთში და იტალიაში დეზინფორმირებას ეწევა საქართველოს ეროვნულ გამანთავისუფლებელ მოძრაობაზე და იქ მთელი ჯაშუშების ქსელი ჰყავს, მთელი ემიგრაცია. მთელს ემიგრაციას გადაუბრუნეს ტვინი და ჩვენი მოძრაობის წინააღმდეგ განაწყო ამ ვაჟბატონმა და ეხლა თავის ქალიშვილს აგზავნის იქ, რომ სამუდამოდ დაამკვიდროს და კარგად მოწამლოს ის ემიგრაცია. ამ ვაჟბატონმა, რომელიც დღეს ეკლესიით ინიღბება და ეკლესიებს აშენებს. დიახ იქ იმისათვის დაბრძანდება, რომ ჩვენი ქართული ემიგრაცია გადაიყვანოს საბჭოთა პარლამენტარიზმის რელსებზე. და ჩვენ დაგვგმო ზოგმა უტვინო ემიგრანტებმა და გამოაცხადა, რომ ეს მჩხავანა კატებიაო. ასე დაწერა ჩვენზე და ისაო, 9 აპრილიო ეს სისულელე იყო, ეს ციხის კედელზე თავის რახუნი იყოო, ჯობიაო აქ გამოაგზავნონ ხალხი სასწავლებლადო, ასპირანტურებს დაამთავრებენო და აი ეს არისო ეროვნული საქმის კეთებაო და არა 9 აპრილი და არა თურმე ეს აქციები. აი ნახეთ რა ტვინ გადაბრუნებული ხალხია და ამ აგიტაციას ეწევა აქედან წასული ხალხი. აი ეს ჩვენი ვითომდაც გამოჩენილი და ვითომცდაც სახელოვანი მოღვაწეები. დადიან იმ მიზნით საფრანგეთში, რომ ჩვენი ემიგრაცია მტრულად განაწყონ ქართული ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ და ბევრს გადაუბრუნეს სხვათა შორის ტვინი. ასე, რომ ქართველმა ერმა მათ ანათემა უნდა გამოუცხადოს, ანათემა უნდა გამოუცხადოს (ტაში) ამ მტრებს ჩვენი ეროვნული მოძრაობისას. ასე მეგობრებო, ვიბრძოლოდ ჩვენი ძალების გაერთიანებისათვის. და ამავე დროს იმასაც ვიტყვი, იმასაც ვიტყვი, მეგობრებო, რომ ირაკლი წერეთელმა კარგად თქვა, სხვათა შორის, კონგრესზე რომ, შიშს სთესავენ ჩვენს წინააღმდეგ. ჩვენც გვინდა სიფრთხილე. ამათ წინააღმდეგ კი არა, კარგად იცით, რომ ამათი ჩვენ არ გვეშინია და არც მათი ხელმძღვანელებისა კრემლში, მაგრამ სიფრთხილე იმ მხრივ გვინდა, რომ მართლა ცოტა არ შეშინდეს ხალხი. ხალხში დაიბადა პანიკა, მეგობრებო, და ისინი ამ პანიკით სარგებლობენ, ვითომდაც დღეს ჩვენ ვიგდებთ ხელში ძალაუფლებას, ახლა შევქმნით დიქტატურასა და შემდეგ ამ დიქტატურის შედეგები დაატყდება ქართველ ხალხს და მონაგონი იქნება სტალინიზმი და ა.შ. აი ასე გვიყრიან ხმებს, სტალინისტები არიანო თურმე. სტალინისტობა რა არის?... მოღალატეებს რომ ამხელ, რომ იტყვი, რომ ეს მოღალატეა ერის, რომელიც ღალატს სჩადის, თურმე ეს სტალინელობაა. სტალინელობა ეს კი არ არის, სტალინი და მისი ხროვა მოღალატედ აცხადებდა ერის საუკეთესო შვილებს, ერის ერთგულებსა და პატრიოტებს და ჩვენ მოღალატეებს მოღალატეებად ვაცხადებთ, ესაა სტალინელობა? "ავს რომ ავი არ ვუწოდო, კარგს სახელად რა დავარქო?" - განა გურამიშვილმა არა სთქვა? ესე იგი, ავს ავი არ ვუწოდოთ და მოღალატეს მოღალატე არ ვუწოდოთ, იმის შიშით, რომ ჩვენ სტალინელებს დაგვიძახებენ და ბოლშევიკებს დაგვიძახებენ. ბოლშევიკები თვითონ არიან და ბოლშევიკების აგენტები თვითონ არიან, ბოლშევიკებიც ცკ-ს წევრები არიან, (ტაში) და ბოლშევიზმის ციტადელის კრემლის მსახურები არიან აქ, საქართველოში. და ასეთი ხალხი ჩვენ გვიწოდებს ბოლშევიკებს... ამიტომ მეგობრებო, ჩვენ მაინც ვისაუბრებთ ამაზე და ალბათ კიდევ გვექნება საუბარი. არავითარი მთავრობის შექმნას ჩვენ არ ვაპირებთ, ეს არის მათ მიერ მოჩმახული. თუ ვქმნით სათათბიროს, სათათბირო საჭიროა, ქართველი ერის ნდობის მქონე სათათბირო განა არ არის საჭირო, მეგობრებო? რომელიც ეროვნულ მოძრაობასაც დარაზმავს, რომელიც გააკონტროლებს მავნებლურ ხელისუფლებას; რომელიც ყოველნაირად ეცდება, რომ ქართველი ხალხის კონსოლიდაცია მოახდინოს. იმას განა დიქტატურის მიზნები ექნება, განა ძალაუფლების ხელში ჩაგდების მიზნები ექნება? არა, მეგობრებო!.. ამიტომ ჩვენ წავიყვანთ ისე საქმეს, რომ არ იყოს შიში, არ იყოს პანიკა მოსახლეობაში...

"ვით მამალი სხვის მამალსა
დაჰმტერდეს და წაეკიდოს,
მას სცემოს და თვით იცემოს,
დაქოჩროს და დაეკიდოს,
რა ორივე დაღალულნი
ძაღლმან ნახოს, პირი ჰკიდოს, -
ეგრეთ ქართლი და კახეთი
დარჩა თურქთა, ლეკთა, დიდოს!"

დავით გურამიშვილი

## ილია ჭავჭავაძის საზოგადოების

# განცხადება

ა.წ. 27 თებერვალს თბილისში შედგა მიტინგი, რომელზეც კვლავ გაისმა ულირსი ცილისწამება და სიცრუე ილია ჭავჭავაძის საზოგადოებისა და ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენელთა მისამართით. ამჟამად ცილისწამების მორიგ საბაბად გამოიყენეს ე.წ. "თურქ-მესხთა" საკითხი. კერძოდ: სურთ ქართველი ერი შეცდომაში შეიყვანონ, თითქოს ჩვენ გვინდოდეს სამცხე-ჯავახეთში ასიათასობით თურქის ჩამოსახლება.

ამასთან დაკავშირებით ილია ჭავჭავაძის საზოგადოებას სურს ქართველი ერის წინაშე განაცხადოს შემდეგი:

1. არც ილია ჭავჭავაძის საზოგადოებას და არც ზემოთხსენებულ მიტინგზე დასახელებულ ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლებს არასოდეს მოუთხოვიათ საქართველოში თურქების ან გათურქებული მაჰმადიანი ქართველების ჩამოსახლება. ჩვენ მივიჩნევთ, რომ არსებული დემოგრაფიული, ეკონომიკური და პოლიტიკური პირობების გათვალისწინებით დროთა განმავლობაში, საშუალებისდა მიხედვით, შესაძლებელია დაბრუნდნენ მხოლოდ ის ცალკეული ოჯახები, რომელთა ქართული წარმოშობა და შეგნება ეჭვს არ იწვევს. საკუთრივ სამცხე-ჯავახეთში რაიმე ჩამოსახლებაზე საერთოდ არაა საუბარი. ჩვენი პოზიცია სრულიად ნათლადაა გამოთქმული ჩვენს პუბლიკაციებში. (ეს განსაკუთრებული სიცხადითაა გადმოცემული გაზ. "ივერიის" მე-10 ნომერში, 3.07.89, სადაც ჩვენი პოზიცია მოზრდილი ასოებითაა დაბეჭდილი. იხ. აგრეთვე თამარ ჩხეიძის წერილი "ჩვენი ერის ტრაგედია", "ივერია" №9, 21.06.89წ.; ა.აბჟანდაძის და თ. ლომაიას წერილი "მკურნალმანცა ვერა ჰკურნოს...", "ივერია", №12, 12.08.89წ.; ზურაბ ჭავჭავაძის ინტერვიუ გაზეთში "Молодежь Грузии", 26.09.89წ. და გაზეთ "თბილისში", 27.12.89წ.; ჯუმბერ კოპალიანის ინტერვიუ გაზეთ "ლიტერატურულ საქართველოში", 2.02.90წ.). ასეთი იყო ქართული დისიდენტური მოძრაობის პოზიცია და ასეთსავე აზრს გამოთქვამდნენ ყოველთვის ისინიც, ვისაც ახლა ჩვენს წინააღმდეგ ანგარიშსწორების იარაღად უქცევიათ ეს საკითხი (იხ. მაგალითად გაზ. "თბილისი", 1989 წლის 7 ივნისი, ზ. გამსახურდიას ინტერვიუ).

2. ჩატარებული მიტინგი წარმოადგენს ილია ჭავჭავაძის საზოგადოების წინააღმდეგ მიმდინარე იმ კამპანიის ნაწილს, რომელსაც ანტიდემოკრატიული ძალები აწარმოებენ ლიდან ამ საზოგადოების დაარსებისა. (შეგახსენებთ, რომ ილია ჭავჭავაძის საზოგადოება იყო პირველი არაფორმალური გაერთიანება, რომელიც საქართველოში ჩამოყალიბდა. იგი შეიქმნა 1987 წლის 30 ოქტომბერს).

3. ზემოთაღნიშნული კამპანია არ არის მხოლოდ ილია ჭავჭავაძის საზოგადოების წინააღმდეგ მიმართული. იგი მიზნად ისახავს საქართველოში არსებული რეალისტური და დემოკრატიული ძალების დათრგუნვას. ტყუილად როდი იკითხება ასეთ მიტინგებზე ე.წ. "ხალხის მტრებისა" და "მოღალატე მავნებლების" სიები. ეს ისტორიულად მეტისმეტად ცნობილი ავისმომასწავებელი მოვლენაა და მიმართულია ინტელიგენციის, როგორც თავისუფალი აზრის მატარებლის წინააღმდეგ. მოვუწოდებთ ყველას, ვისთვისაც ძვირფასია თავისუფალი საქართველოს იდეა, დავძლიოთ სამოცდაათწლიანი მონობით გამომუშავებული შიში და წინ აღვუდგეთ ახალ სამოსელში გამოწყობილ ამ ძველ მოვლენას.

4. და ბოლოს: ილია ჭავჭავაძის საზოგადოება დუმილით ვეღარ შეხვდება ამდენ ცილისწამებას და კატეგორიულად მოითხოვს მის წინააღმდეგ წამოყენებული ყველა ბრალდების დასაბუთებას. ამ მიზნით პირდაპირი ეთერით სატელევიზიო დიალოგზე ვიწვევთ კონკრეტული ბრალდებების ავტორებს.

ილია ჭავჭავაძის საზოგადოება
28 თებერვალი, 1990 წელი.

მ ი ნ ა წ ე რ ი : ილია ჭავჭავაძის საზოგადოება სამი დღეა ცდილობს საქართველოს ტელევიზიით ამ განცხადების გადაცემას. ტელევიზიის ხელმძღვანელობამ მოითხოვა განცხადებიდან ამოგველო მე-3 პუნქტი. ილია ჭავჭავაძის საზოგადოება მიიჩნევს, რომ საქართველოში არსებული ვითარების შეფასებას, რომელიც გადმოცემულია მითითებულ პუნქტში, აქვს უაღრესად პრინციპული მნიშვნელობა, რადგან თავისთავად კერძო სახის ცილისწამება კი არაა იმდენად მნიშვნელოვანი, არამედ ის, თუ რა სახის ზოგადი მოვლენა დგას მის მიღმა.

2 მარტი, 1990 წელი.

მ ე ო რ ე მ ი ნ ა წ ე რ ი :

ეს განცხადება (მინაწერითურთ) მიტანილი გვქონდა გაზ. "ახალგაზრდა კომუნისტში" (3 მარტიდან) და გაზ. "თბილისში" (5 მარტიდან). დაგვპირდნენ გამოქვეყნებას, მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, არ გამოაქვეყნეს. (დღეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი ახალი მოდის მრისხანე ცენზორებს ემორჩილებიან!).

შემდეგ იყო 19 მარტის "მიტევების მიტინგი". ჩვენც მივუტევეთ ჩვენს ცილისმწამებლებს და გადავწყვიტეთ, აღარ გამოგვექვეყნებინა ეს განცხადება. მაგრამ ჩვენი კეთილი ნების ნაბიჯი (ეს მერამდენედ!) უშედეგოდ დარჩა: 25 მარტს მთავრობის სახლის წინ გამართულ მიტინგზე ჩვენი მისამართით კვლავ გაისმა ამაზრზენი ლანძღვა-გინება. კვლავ ასიათასობით თურქის ჩამოსახლება დაგვდეს ბრალად!..

"მიტევების მიტინგის" შემდეგ მათი ეს საქციელი მით უფრო გასაოცარი და სამარცხვინოა, რომ წინა დღით, 24 მარტს, ლიტვის მხარდასაჭერად გამართულ მიტინგზე ხალხიდან რამდენიმე შეკითხვა მოვიდა ბ-ნ გამსახურდიასთან ჩვენი დამოკიდებულების შესახებ. მაგრამ არც წამყვანს (გელა ნიკოლაიშვილს) და არც სხვა რომელიმე გამომსვლელს ერთი საავგო სიტყვაც არ დასცდენიათ ჩვენი ცილისმწამებლების მიმართ. კეთილი ნების ნაბიჯი უშედეგო აღმოჩნდა. ფრიად ნიშანდობლივი ფაქტია! როგორც ჩანს, უზნეობა ისეთი სენია, რომელსაც ვერავითარი მიტევება და კეთილი ნების ნაბიჯი ვერ პკურნავს!..

28 მარტი, 1990 წელი.

• • •

თუ მაშინ მოღალატეთა მთლად ვერ შეავსეს სიები,
თუ სადმე ნიჭიერები გვყავს დეიდები, ძიები, –
ახალ ბელადებს ყლუპისთვის დაუფჩენიათ პირები!
და როცა ჩაგვეფერფლება ცეცხლში წიგნები, ფირები,
მერე გვიანღა იქნება თავგანწირული ყირები.

(ხალხური)

# რატომ „გადაუბრუნდათ“ ტვინი ქართველ ემიგრანტებს?

ეროვნულმა ფორუმმა სპეციალური რეზოლუციით დაგმო ქართული ემიგრაცია...

მიტინგებზეც ხშირად ისმის, რომ ქართველ ემიგრანტებს "ტვინი გადაუბრუნა" ზოგიერთმა ქართველმა "ვაიინტელიგენტმა", და ა.შ. (მხედველობაში აქვთ ბ-ნ მიხეილ ქავთარაძის წერილი, რომელიც გაზეთმა "თბილისმა" გადმობეჭდა პარიზში გამომავალ ჟურნალ "ივერიიდან", აგრეთვე ემიგრანტთა ჯგუფის წერილი, რომელშიც მოწოდება იყო არჩევნებში მონაწილეობის შესახებ).

რამ გამოიწვია ასეთი რისხვა ქართული ემიგრაციის მიმართ?

იმ მძიმე წლების განმავლობაში, როდესაც სასტიკად იდევნებოდა ყოველგვარი თავისუფალი აზრი საქართველოში და მთელ საბჭოთა კავშირში, მანუგეშებელი სიტყვა ძირითადად საზღვარგარეთიდან მოისმოდა, კერძოდ, ქართველი ემიგრანტებისაგან, რომლებიც ყოველ ღონეს ხმარობდნენ, არ ჩამქრალიყო ეროვნული სულისკვეთება ქართველ ხალხში, მართალი ხმა მოეწვდინათ თავისუფალი სამყაროდან საქართველოში. ასევე ქართული ემიგრაცია იყო ქართველი დისიდენტების ერთ-ერთი საიმედო მაკავშირებელი დასავლეთთან.

ასე რომ, თუნდაც ყოველთვის ზუსტად ვერ შეაფასონ სწორად საქართველოში მიმდინარე მოვლენები, ასეთი უხეში თავდასხმა მათზე, რბილად რომ ვთქვათ, დიდი უმადურობაა!

მაგრამ ახლა ისა ვთქვათ, მართლა ცდებიან ემიგრანტები? მართლა "გადაუბრუნდათ ტვინი"?

ყველაზე ხშირად, ყველაზე ინტენსიურად ქართულ ემიგრაციას ინფორმაციას აწვდებს სწორედ ის ნაწილი ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა, რომელიც დღეს აღშფოთებულია მათი "ტვინის გადაბრუნებით". ამას მოწმობს დასავლეთის "ხმები" და ემიგრანტთა ქართული ჟურნალ-გაზეთები, რომლებიც ძირითადად სწორედ მათი ინფორმაციებითაა სავსე. ასე რომ, ემიგრანტებმა თითქმის ყველაფერი იციან, რაც აქ ხდება. და თუ მაინც სხვანაირად უყურებენ საქართველოში მიმდინარე მოვლენებს, ეს იქნებ სწორედ მათი ინფორმაციების გაანალიზების საფუძველზე ხდება?!

ქართველი ემიგრანტები თავისუფალ სამყაროში ცხოვრობენ, კარგად უწყიან დემოკრატიის ფასიც და თავისუფალი აზრის ტერორიზების დამღუპველი მნიშვნელობაც. და მათი შეფასება საქართველოში მიმდინარე მოვლენებისა უხეშად კი არ უნდა დავგმოთ, არამედ კარგად უნდა გავიაზროთ.

განა ორი აზრი შეიძლება არსებობდეს იმის შესახებ, რომ ქართველი ემიგრანტები საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჭეშმარიტი გულშემატკივრები არიან?

კრიტიკის მოუთმენლობა (მით უფრო გულშემატკივრულის) ბოლშევიკებისთვისაა დამახასიათებელი და დროა იმ ძალებმა, რომლებიც თავს ბოლშევიკების მოწინააღმდეგეებად აცხადებენ, დაძლიონ ეს საზარელი სენი.

ანზორ აბჟანდაძე

# ადარა კმარა?

## ისევ ბოლშევიკური მეთოდებით?

ყველას კარგად მოეხსენება, თუ როგორ ებრძოდნენ სიმართლის უშიშრად მთქმელებს ბოლშევიკები სულ ბოლო დრომდე: უწყობდნენ შანტაჟს, აწერინებდნენ მონანიებას, მიმართავდნენ მუქარას, აქვეყნებდნენ ფალსიფიცირებულ განცხადებებს ყალბი ხელმოწერებით და ა.შ.

სამწუხაროდ, ამ ბოლშევიკურ გზას აგრძელებს ზოგიერთი გავლენიანი პიროვნება, რომელიც თავს სწორედ ბოლშევიკების წინააღმდეგ მებრძოლად აცხადებს.

აი, რა გადახდათ ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ქარელის განყოფილების წევრებს. გაზეთ "ყინწვისში" მათ გამოაქვეყნეს კრიტიკული შენიშვნა ბ-ნ ზვიად გამსახურდიას ზოგიერთი გამონათქვამის შესახებ დეკემბრის თვეში ქარელში ჩატარებულ მიტინგზე. კრიტიკამ მეტისმეტად გააწიწმატა გამსახურდიას თაყვანისმცემლები და იმის მაგივრად, რომ კრიტიკული შენიშვნებისათვის დასაბუთებული პასუხი გაეცათ, მათ ლანძღვა-გინება გააჩაღეს ქარელის რაიონული გაზეთის ალტერნატიული ფურცლის გვერდებზე, და, რაც მთავარია, მიუვარდნენ "ყინწვისის" სარედაქციო კოლეგიის წევრებს, დაუწყეს მუქარა, ჯიხურიდან მოიტაცეს გაზეთები, რადიოს შტატგარეშე კორესპონდენტი ლია ჯახველაძე და საზ. "ცოდნის" რაიონული განყოფილების წარმომადგენელი ნანა ზურაბაშვილი დაემუქრნენ, რომ რადიოში გამოაცხადებდნენ ერის მტრებად და მოღალატეებად (დროც დაუნიშნეს). ამ შანტაჟით შეშინებული დათო ჭაბუკაშვილი ("ყინწვისის" სარედაქციო კოლეგიის წევრი) ეახლა ზ. გამსახურდიას, რომელიც "დიდსულოვნად" დაპირდა მას, რომ შეუნდობდა "უმსგავსო" საქციელს, თუკი იგი მოინანიებდა. და, აი, გაზეთ "ახალგაზრდა ივერიელში" გაჩნდა დ.ჭაბუკაშვილის "განმარტება", რომელზეც ვითომდაც "ხელს აწერდნენ" სარედაქციო კოლეგიის დანარჩენი წევრები. ამ სიყალბემ და ფალსიფიკაციამ, რა თქმა უნდა, ააშფოთა "ხელმომწერები", რომლებმაც სპეციალური წერილით გამოხატეს პროტესტი.

ეს ფაქტი, ცხადია, ყველას გაახსენებს იმ ხანას, როდესაც სიმართლის უშიშრად მთქმელებს ზუსტად ასე ექცეოდნენ: აწერინებდნენ მონანიებას, ემუქრებოდნენ, უწყობდნენ შანტაჟს, აქვეყნებდნენ ფალსიფიცირებულ განცხადებებს ყალბი ხელმოწერებით და ა.შ.

ახლა მეორე შემთხვევა:

ილია ჭავჭავაძის საზოგადოების დარბაზის წევრს ვასილ გაბუნიას სკოლის დირექტორად ირჩევდნენ. მას ისე დიდი ავტორიტეტი ჰქონდა თანამშრომელთა შორის, რომ სხვებმა მის სასარგებლოდ თავიანთი კანდიდატურებიც კი მოხსნეს. მაგრამ აქ საქმეში ჩაერია... შიში: "რას იტყვის ბ-ნი ზვიადი? ის ტერორს მოგვიწყობს!.. ვასილ გაბუნია ხომ ილია ჭავჭავაძის საზოგადოების წევრია!.."

ვასილ გაბუნიას თხოვეს, ფორმალურად მაინც გამოსულიყო ილია ჭავჭავაძის საზოგადოებიდან. ამ აღმაშფოთებელ წინადადებას ვ.გაბუნიამ, რა თქმა უნდა, უარით უპასუხა...

ერთი სიტყვით, ბოლოს და ბოლოს, დირექტორად სულ უცხო კაცი მოიყვანეს...

ხომ არ გაგონებთ ყოველივე ეს, მკითხველო, ავადხსენებულ ბოლშევიკურ პრაქტიკას?..

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მერაბ კოსტავა ეროვნულ მოძრაობაში ბოლშევიკური მეთოდების წინააღმდეგ

მერაბ კოსტავას წინამდებარე წერილი ორი წლის წინანდელ მოვლენებს ეხება. მათ შესახებ დღეს ალბათ ბევრმა არაფერი იცის.

საქმე ისაა, რომ პირველი არაფორმალური გაერთიანება, რომელიც საქართველოში შეიქმნა, იყო ილია ჭავჭავაძის საზოგადოება (მხედველობაში გვაქვს ე.წ. "პერესტროიკის" წლები). მასში, როგორც იმხანად არსებულ ერთადერთ ოპოზიციურ ორგანიზაციაში, გაერთიანდნენ ეროვნულ მოძრაობაში ჩაბმული ადამიანები იმისდამიუხედავად, თუ რა გზა ესახებოდათ თითოეულ მათგანს საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად. ბუნებრივია, ერთ ორგანიზაციაში მათი ყოფნა დროთა განმავლობაში გარკვეულ უხერხულობას შექმნიდა და მოსალოდნელი იყო ილია ჭავჭავაძის საზოგადოებას გამოჰყოფოდა შესაბამისი ფრაქციები თუ დაჯგუფებები. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ სრულიად ბუნებრივმა პროცესმა უმტკივნეულოდ არ ჩაიარა...

საზოგადოების წესდების მიხედვით ყოველი სადაო საკითხი კენჭისყრით უნდა გადაწყვეტილიყო ხმების უბრალო უმრავლესობით. ერთ-ერთი სადაო საკითხის განხილვისას გამგეობის წევრთაგან უმცირესობაში დარჩენილები (2 10-ის წინააღმდეგ, ერთმა – მერაბ კოსტავამ – თავი შეიკავა) გავიდნენ ილია ჭავჭავაძის საზოგადოებიდან. მათ დაუკავშირდა საზოგადოების გარეთ მყოფი ზვიად გამსახურდია, რის საფუძველზეც მან სრულიად უკანონოდ მიისაკუთრა ილია ჭავჭავაძის საზოგადოების სახელი და დარჩენილი გამგეობის წევრები საზოგადოებიდან გარიცხულად გამოაცხადა. ასე რომ, გარკვეული დროის განმავლობაში არსებობდა ორი ილია ჭავჭავაძის საზოგადოება და გამოყოფილი "ილია ჭავჭავაძის საზოგადოების" – IV დასის საკოორდინაციო ცენტრის სახელით ზ. გამსახურდია განუწყვეტლივ აწარმოებდა უკადრის, ცილისმწამებლურ გამოხდომებს ნამდვილი ილია ჭავჭავაძის საზოგადოების წინააღმდეგ, ეს უკანასკნელი კი მთელი 9 თვის განმავლობაში არ პასუხობდა მას...

სწორედ იმ დღეებიდან აგორდა და თანდათან გაძლიერდა ის არაჯანსაღი დამოკიდებულების ტალღა, რის მწარე ნაყოფს დღეს იმკის და ალბათ მომავალშიც მოიმკის ქართველი ხალხი.

ყოველივე ეს ცნობილი გახდა ქართველი ემიგრანტებისათვის, რომლებიც გაკვირვებასა და აღშფოთებას ვერ ფარავდნენ. სწორედ ამის გამომახილია მერაბ კოსტავას ეს წერილიც პარიზში გამომავალ ჟურნალ "გუშაგის" რედაქტორ ბ-ნ გიორგი წერეთლისადმი.

---

ბატონო გიორგი! ვპასუხობ თქვენს წერილს, გამოგზავნილს ამა წლის 19 სექტემბერს. გულის სიღრმემდე აღწევს სამშობლოს მონატრებული, მამულის ბედ-იღბალისადმი მზერა მიგეზებული თანამემამულის ხმა. ბუნებრივია, რომ განიცდით იმ ყოფისა და უთანხმოების, ლანძღვისა და ურთიერთშემკობის" ამბებს, ილია ჭავჭავაძის საზოგადოებაში რომ მოხდა. ვისი ბრალია ეს ყოველივე? ვინ არის დამნაშავე? ჩემის აზრით, ჩვენ ყველანი. გაყოფა შეიძლებოდა მომხდარიყო, დაყოფა ერთი საზოგადოებისა ორ ფრთად, ორ ფრაქციად. ეს შეიძლება მოლაპარაკებითაც, ურთიერთის ლანძღვის გარეშე, მაღალი შედეგების მიღწევითა და დიდი ეფექტით. ამგვარი გაყოფა არ იქნებოდა დანაშაული.

განხეთქილების ვაშლი მაშინ ჩამოვარდა, ცოდვას მაშინ ჰქონდა ადგილი, როცა ერთმა მხარემ საკუთარ ჟურნალში თავის თავს ჯანსაღი უწოდა, საკუთარი თავი ჯანსაღ ეროვნულ ძალად მიიჩნია, რომელიც თითქოსდა არაჯანსაღ ნაწილს გამოეყო. რაც გინდათ უწოდეთ ამას: ტრაბახი, შეურაცხყოფა, გინდაც ცილისწამება; ცხადია, ეს არაფრად ვარგა, ეს უკვე დანაშაულია, რადგან ცამდე მართალიც რომ იყვე (ეს კი მხოლოდ ღმერთმა იცის), ამგვარი განცხადების მერე თავად ხდები მტყუანი და არაჯანსაღი, მთესველი შუღლისა, რომლის ნაყოფსაც დღეს უკვე უხვად ვიმკით, რადგან ჭეშმარიტად ქარიშხალის აღმძვრელი ხდება ქარის დამთესველი. უარესი შეიძლება ითქვას გარიცხვაზე. უკვე სხვა ჯგუფში მყოფი, შენ რიცხავ მეორე ჯგუფის გამგეობას. რა არის ეს, თუ არა კომკავშირელობანა, ბოლშევიკობანა, პლუს არასერიოზულობა, უწიფარობა გონისა (ამას მე პირში ვეუბნები ჩემს მეგობრებს), მით უმეტეს, თუ მეორე მხარე თავის უფლებაში რჩება, ოდნავადაც არ ანელებს ფუნქციონირებას. ამგვარი უგუნურების სასტიკი წინააღმდეგი ვიყავი, მაგრამ ხმათა უმრავლესობით საკოორდინაციო ცენტრმა მაინც ჩაიდინა ეს "ბოლშევიკური", სხვას ვერაფერს დავარქმევ, ქმედება, მოახდინა "წმენდა", როგორც ამას "ქართული ქრონიკის" ერთ-ერთი ნომერი აღნიშნავს (დაუკვირდით ტერმინებს).

ყოველივე ეს გახურებული ტვინის მოქმედებაა და სხვა არაფერი, ასე რომ მე ნუ მიგულებთ ლანძღვა-გარიცხვის იმ საქმეში, თქვენს ყურს რომ მოწვდა დასავლეთში და ი. ჭავჭავაძის საზოგადოების (IV დასი) საკოორდინაციო ცენტრი რომ აწერს ხელს.

არ ვიცი მომავალში რა გეზით განვითარდება ეს ურთიერთობა. მე ვცდილობ და ყოველთვის ვეცდები მშვიდობისა და ჰარმონიის დამყარებას.

ახლა კი ცოტა სხვაც. ალბათ გაიგებდით, თუ რა მშფოთვარე იყო წლევანდელი შემოდგომა, ერთობ მსხმოიარე ხალხმრავალი აქციებით: მიტინგებით, დემონსტრაციებითა და მასობრივი შიმშილობით, ურთულესი პრობლემით. ერის ცხოვრებაში აშკარად იგძნობა აღორძინების ნიშნები, ჯერარნახული ძვრები, რისთვისაც ლალადებენ მასშტაბები და სიმწვავე ერთკვირიანი მანიფესტაციებისა მთავრობის სასახლესთან.

ბ-ნო გიორგი! ჩემს ზარათს ერთი თხოვნით ვამთავრებ: მაცნობეთ, მართლა შემოთვალეს საქართველოდან ზაქარია ლაშქარაშვილზე, რომ ის უშიშროების კომიტეტის აგენტია და თუ შემოთვალეს, ვინ ჩაიდინა ამგვარი რამ? ღმერთმა ჰქნას, ეს ჭორი აღმოჩნდეს. ზაქარია ლაშქარაშვილი სუფთა, ალალი და ვაჟკაცი ბიჭია, რასაც არა მარტო საკუთარი ინტუიცია მალაპარაკებს, არამედ ის წრეც ჭეშმარიტი პოლიტპატიმრებისა, რომელშიც იგი პატიმრობის დროს ტრიალებდა.

ერთსაც დავამატებ. გთხოვთ, თუ გაგაჩნიათ, როგორმე გამომიგზავნოთ 70 წლების პირველ ნახევარში საფრანგეთში რუსულიდან ქართულად ნათარგმნი და მანდ დაბეჭდილი ჩემი შრომა, (რომელსაც ხელს არ ვაწერდი) "მოსკოვის დამოკიდებულება საქართველოსადმი". შრომას ხელს არ ვაწერდი მეგობრების თხოვნით, რათა ვადაზე ადრე არ დავეპატიმრებინეთ. მოძრაობა ხომ მაშინ ახალი დაწყებული იყო და გარეთ ბევრი რამ იყო გასაკეთებელი. თუ გაგაჩნიათ, როგორმე მომაწვდინეთ ეგ სტატია, რადგან ყველა ეგზემპლიარი უშიშროებამ წაიღო 1977 წ. ჩვენი დაპატიმრებისას.

წერილს მოკითხვით ვამთავრებ მათ მიმართ, ვისაც თქვენთან, დასავლეთში გული სამშობლოსათვის უძგერს.

გისურვებთ ბედნიერებას, თანამემამულეებთან თანაზიარს, სულიერ მხნეობას და საქმეში შემართებას. დიდი პატივისცემით

მერაბ კოსტავა

5/XII/ 1988

ჟურნ. "გუშაგი", №20, პარიზი

---

• • • •

1990 წლის 6 აპრილს ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ინიციატივით გაიმართა საქართველოს დემოკრატიული ოპოზიციური ორგანიზაციებისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა კონფერენცია, რომელიც მიზნად ისახავდა შეემუშავებინა მექანიზმი საკავშირო უზენაესი საბჭოს სესიის მიერ მიღებული ანტიეროვნული კანონების წინააღმდეგ.

კონფერენცია გახსნა ილია ჭავჭავაძის საზოგადოების გამგეობის წევრმა ჯუმბერ კოპალიანმა. კონფერენცია მიჰყავდა ილია ჭავაჭავაძის საზოგადოების დარბაზის წევრს ვალერი ვაშაკიძეს. სიტყვებით გამოვიდნენ ილია ჭავჭავაძის საზოგადოების გამგეობის წევრი, საქ. მეცნ. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ნიკო ჭავჭავაძე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი თენგიზ ლილუაშვილი, ასოციაცია "ჯავახეთის" თავ-რე გიული ძიძიგური, იურისტი ჯონი ხეცურიანი, ფილ. მეცნ. დოქტორი, სფ-ს გამგეობის წევრი გურამ ყორანაშვილი, მწერალი, სფ-ს გამგეობის წევრი ჯანსუღ ჩარკვიანი, არჩილ ჯორჯაძის საზ-ის თავ-რე ედიშერ გიორგაძე, საქ. მოქალაქეთა ლიგის თავ-რე ვაჟა მთავრიშვილი, ილია ჭავჭავაძის საზ-ის დარბაზის წევრი პროფ. ზურაბ კიკნაძე, პოლიტკლუბის წევრი გურამ ბერიშვილი, კავკასიური კლუბის წევრი გოგი მინდიაშვილი, პოლიტკლუბის წევრი ირაკლი მაჭავარიანი, აკად. ვახტანგ ბოჭორიშვილი, ეროვნული თანხმობის წევრი მიხო მორჩილაძე, მწერალი ნაირა გელაშვილი, წმ. ილია მართლის საზოგადოების წევრი თამაზ ცანკაშვილი, მწერალი მამუკა ცეცხლაძე, რესპუბლიკური პარტიის ეროვნული კომიტეტის წევრი დავით ბერძენიშვილი და სხვები.

კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია.

## საქართველოს ოპოზიციური დემოკრატიული ორგანიზაციებისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა კონფერენციის
## რ ე ზ ო ლ უ ც ი ა

1990 წლის 6 აპრილს ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ინიციატივით მოწვეულმა კონფერენციამ განიხილა საკითხი საკავშირო უზენაეს საბჭოში ბოლო დროს მიღებული კანონებისა და ამჟამად განსახილველი კანონპროექტების შესაბამისობის შესახებ საქართველოს სასიცოცხლო ინტერესებთან.

კონფერენციას მიაჩნია, რომ სსრკ უმაღლესი საბჭოს მიერ "სსრკ-დან რესპუბლიკების გასვლის მექანიზმის შესახებ" კანონპროექტს შემუშავებისა და განხილვის ფაქტი თავისთავად უკანონო აქტია, ვინაიდან მოკავშირე რესპუბლიკის კავშირიდან გასვლის უფლება არის მისი უპირობო უფლება, რომლის განხორციელების წესის დადგენა მხოლოდ და მხოლოდ მოკავშირე რესპუბლიკების პრეროგატივაა.

კონფერენციის მონაწილეებმა ერთსულოვნად დაადასტურეს, რომ ეს კანონები და კანონპროექტები რადიკალურად ეწინააღმდეგებიან ქართველი ერის უმთავრეს მოთხოვნას – საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას.

ჩვენ, კონფერენციის მონაწილენი, მოვითხოვთ:

1. სასწრაფოდ იქნას მოწვეული საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს საგანგებო (რიგგარეშე) სესია, რომელიც დაუყოვნებლივ გადადგამს პრაქტიკულ ნაბიჯებს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის;

2. საქართველოდან წარგზავნილმა სახალხო დეპუტატებმა დაუყოვნებლივ მოიხსნან თავიანთი უფლებამოსილებანი და არ მიიღონ მონაწილეობა საკავშირო უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოების მუშაობაში;

3. საქართველოს უზენაესი საბჭოს ამავე სესიამ სცნოს ლიტვის რესპუბლიკა, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო და განაცხადოს, რომ მის მიმართ არავითარი პოლიტიკური, ტერიტორიული და ეკონომიკური პრეტენზიები არ გააჩნია.

ილია ჭავჭავაძის საზოგადოება, საქართველოს რესპუბლიკური პარტია, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ორგანიზაცია (სეგო), საქართველოს მწვანეთა მოძრაობა, საქართველოს სახალხო ფრონტი, თბილისის პოლიტიკური კლუბი, თბილისის უნივერსიტეტის ახალგაზრდული პრესკლუბი, საქართველოს ინვალიდთა ასოციაცია, არჩილ ჯორჯაძის საზოგადოება, ასოციაცია "ეროვნული თანხმობა", საქართველოს ვენის კავშირი, ივანე ჯავახიშვილის საზოგადოება, საქართველოს ექიმთა ასოციაცია, საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება, წმინდა დავით აღმაშენებლის საზოგადოება, კონფერენციაზე დამსწრე საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

თბილისი, 1990 წლის 6 აპრილი.

---

# უკრაინის ეროვნული პარტია

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში დაბეჭდილი იყო ერთობლივი განცხადება უკრაინის ეროვნული პარტიის წარმომადგენლებთან ერთად. გთავაზობთ წერილს, სადაც მოთხრობილია ამ პარტიის შესახებ.

უკრაინის ეროვნული პარტია დაარსდა 1989 წლის 21 ოქტომბერს. პარტიის თავმჯდომარეა ბოგდან კოგუტი -ყოფილი პოლიტპატიმარი, რომელმაც 1946-დან 1960 წლამდე გაატარა საბჭოთა საკონცენტრაციო ბანაკებში. პარტიის მდივანია ვენიამინ დუჟინსკი, რომელმაც ასევე იწვნია საბჭოთა ბანაკების სუსხი 18 წლის მანძილზე. პარტია აერთიანებს სამათას ხუთასზე მეტ წევრს და მოიცავს თითქმის მთელ უკრაინას, კერძოდ, ლვოვის, კიევის, ივანო-ფრანკოვსკის, დონეცკის და სხვა ოლქებს. მართალია, პარტია ახლად დაარსებულია, მაგრამ იგი სათავეს 40-იანი წლებიდან იღებს, როცა საბჭოთა იმპერიამ დასავლეთ უკრაინის ანექსია მოახდინა.

ბოგდან კოგუტი თვლის, რომ პარტია ელიტარულია, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი ეყრდნობა იმ ხალხს, რომლებიც მზად არიან უკრაინელი ხალხი გაიყოლონ იმ სანუკვარი ოცნებისაკენ, რასაც სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობა ჰქვია. ის თვლის აგრეთვე, რომ ყველა პრობლემა, ეს იქნება კულტურა, ეკონომიკა თუ სხვა, გადაწყდება უკრაინის პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ. უკრაინის ეროვნული პარტია თანამშრომლობს უკრაინის სხვა პოლიტიკურ ორგანიზაციებთან, კერძოდ 1990 წლის 21 იანვარს მოეწყო უკრაინის სახელმწიფოებრიობის გამოცხადების 71-ე წლისთავისადმი მიძღვნილი აქცია, რომლის ორგანიზატორები იყვნენ "რუხ"-ი და უკრაინის ჰელსინკის კავშირი. აქციაში მონაწილეობა მიიღო უკრაინის ეროვნულმა პარტიამ. ადამიანთა ცოცხალი ჯაჭვი გამწკრივდა 450 კმ-ის მანძილზე - ლვოვი-ტერნოპოლი-როვნო-ჟიტომირი-კიევის მარშრუტზე. აქციის შემდეგ გაიმართა მრავალათასიანი მიტინგები. კიევში 50 ათასზე მეტმა კაცმა მიიღო მონაწილეობა მიტინგში, რომლის მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს, რომ საბჭოთა მმართველობის მთელი წლების მანძილზე პირველად აღინიშნა ეს დღე. მიტინგის დასასრულს მისმა მონაწილეებმა იმღერეს ეროვნული ჰიმნი "შჩე ნე ვმერლა უკრაინა" (ჯერ არ მომკვდარა უკრაინა).

დათო კვიჟინაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ასე კონსოლიდაცია ვერ მოხდება

მიმდინარე წლის 13-15 მარტს, თბილისში ფილარმონიის დარბაზში-ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის, მონარქისტული პარტიის, წმინდა ილია მართლის საზოგადოების, მერაბ კოსტავას საზოგადოებისა და თეთრი გიორგის კავშირის ინიციატივით მოეწყო "საქართველოს ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის საგანგებო კონფერენცია", რომელმაც "ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტის" უფლებამოსილება გადასცა ახლადშექმნილ "ეროვნულ ფორუმს". ლიკვიდირებულმა ორგანომ ხუთი თვე იარსება. ჩვენ აქ არ შეუდგებით მისი საქმიანობის დეტალურ ანალიზს, მხოლოდ შევნიშნავთ, რომ იგი უდღეური ბავშვივით თავიდანვე განწირული იყო. სხვათა შორის, ილია ჭავჭავაძის საზოგადოებამ ამ ფაქტთან დაკავშირებით მაშინვე განაცხადა, რომ ამ ორგანოში ("ხსნის კომიტეტში", რედ.) პოლიტიკური პარტიებისა თუ ორგანიზაციების გაერთიანების პრინციპი სრულიად მიუღებელი იყო ჩვენთვის და ბევრი სხვისთვისაც, ვინაიდან მასში გაერთიანება ხდებოდა მიმდინარე საკითხებთან დამოკიდებულობის მიხედვით, რაც თავიდანვე ერთი აზრის დიქტატის დამკვიდრების საშიშროებას ქმნიდა. ამასთან, შევნიშნავდით, რომ ასეთი გაერთიანება უთუოდ დროებითი კავშირი გამოდგებოდა, როცა ამა თუ იმ კონკრეტულ საკითხზე ორგანიზაციათა პოზიციები ერთმანეთს ემთხვევა. იგი ვერ გახდებოდა ოპოზიციური ძალების ისეთი მაკოორდინებელი ორგანო, რომელიც შეიქმნება პარიტეტული პრინციპით, სტრატეგიული საკითხების გადასაწყვეტად (იხ. გაზ. "ივერია" №16 3.11.89). მართლაც, მცირე ხანში ხსენებულ კომიტეტს ფაქტიურად ის პოლიტიკური ორგანიზაციებიც ჩამოცილდნენ, რომელთა შეხედულებები მიმდინარე საკითხზე კომიტეტის შექმნის მომენტისათვის ემთხვეოდა ერთმანეთს, და მასში საბოლოოდ რეალურად ერთი ორგანიზაცია დარჩა სხვადასხვა ქვეორგანიზაციით, რომლებიც დამოუკიდებელი მოქმედების უფლებით არ სარგებლობდნენ. ასე აორთქლდა სათავეშივე "ეროვნული ხსნის მთავარი კომიეტეტის" ჭეშმარიტი ეროვნული მისია, რომელსაც მისი დემოკრატიულ საწყისებზე დაკომპლექტების შემთხვევაში, ალბათ ბევრი სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემის მოგვარება შეეძლო საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გზაზე. აქვე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ილია ჭავჭავაძის საზოგადოებამ, რომელიც მუდამ იყო და არის ოპოზიციური ეროვნული ძალების კოორდინირებული მოქმედების მომხრე, გასული წლის 30 ოქტომბერს მზადყოფნა გამოთქვა "ეროვნული ხსნის მთავარ კომიტეტში" შესვლაზე, მაგრამ მიუხედავად მისი საინიციატივო ჯგუფის საჯარო განცხადებისა, რომ კომიტეტი კარს უხსნის ეროვნული მოძრაობის ყველა წარმომადგენელს, ჩვენს საზოგადოებას სასტიკი უარი სტკიცეს და კარიც მჭიდროდ მოუჯახუნეს. იგივე განმეორდა 31 ოქტომბერსაც.

რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა მოეჩვენოს ჩვენს მკითხველს, 13-15 მარტის კონფერენციაზეც კვლავ ძველი შეცდომები განმეორდა და "ეროვნული ფორუმის" დაკომპლექტებაც იმავე მცდარი პრინციპით მოხდა, როგორითაც თავის დროზე "ხსნის კომიტეტსა". ასე გაიწირა დაბადებიდანვე მეორე ორგანო-"ეროვნული ფორუმი", როგორც იტყვიან მისმა ორგანიზატორებმა-არც არაფერი დაივიწყეს და ვერც ვერაფერი ისწავლეს! მაგრამ აქვს კი ვინმეს ჩვენთვის ამ მწვავე, დაძაბულ და ასაჩქარებელ დროში ქართული ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის სხვა ნაწილებთან "შეურიგებლობისა" და ძველი შეცდომების განმეორების უფლება? - ვის აძლევს ხელს ქართული ეროვნული მოძრაობის ხელოვნური დაქსაქსვა?

ჩვენთან "შეურიგებლობის" შეცდომა უფრო თვალსაჩინოდ, რომ განვმარტოთ ასეთ შედარებას მოვიტანდით-განა ძნელბედობის ჟამს სამშობლოს დასაცავად შეკრებილ ქართველ ლაშქარში ყოფნაზე და ბრძოლის ველზე სიკვდილის უფლებაზე, ვინმე უარს ეუბნებოდა ვთქვათ მუზოსანს მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ამ მოლაშქრეს მუზით უკეთ შეეძლო სამშობლოს დაცვა, ვიდრე ხმლით ან ლახტით? ვინა თქვა, რომ უფრო მრისხანე ბრძოლის ველი არ უძევს წინ ყველა ქართველს, მიუხედავად მისი პარტიულობისა და შეხედულებებისა? ქართველობა ერთ მობილურ ორგანიზმად უნდა იქცეს! - აი, ქართული ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა. ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობა ჩვენში, ისე როგორც ყველა ნორმალურ საზოგადოებაში, უკვე ფართო სპექტრითაა წარმოდგენილი. თითოეულ ეროვნულ პარტიასა თუ ორგანიზაციას, ფერებისა არ იყოს, თავის ადგილი და საქმე აქვს ღვთისაგან ბოძებული. მოდით, ნუ შევუშლით ერთმანეთს ხელს და საბოლოოდ განვითავისუფლდეთ ავადსახსენებელი ტოტალიტარული აზროვნებისაგან, ნუ შევეცდებით ახლადანთებული მრავალფეროვნების ერთი ფერით შეცვლას. ჩვენი ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ეს ქართველ ერს კარგს არაფერს მოუტანს.

ღვთისმშობელო ჰფარავდეს მის წილხვედრ საქართველოს!

**კახაბერ კახაძე**

# პარლამენტური რევოლუცია

1990 წლის 11 მარტს შედგა ლიტვის სსრ უზენაესი საბჭოს სესია, რომელმაც მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება ლიტვის დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ.

ამგვარად, რასაც ლიტველი ხალხი 50 წელი ელოდებოდა - აღსრულდა! ეს იყო კულმინაციური წერტილი ახალი პარლამენტის მუშაობისა. ამ მოვლენას წინ უსწრებდა შთამბეჭდავი გამარჯვება უზენაესი საბჭოს არჩევნებში. საზოგადოებრივმა მოძრაობამ "საიუდისმა" 141 სადეპუტატო ადგილიდან 97 ადგილი ადგილი მოიპოვა, ანუ 73%. ლიტვის კომპარტიამ მხოლოდ 40 დეპუტატის გაყვანა შეძლო. ნათელი გახდა, რომ გაიმარჯვა ეროვნულ-დემოკრატიულმა ძალებმა. ზემოთ მოყვანილი ციფრები ცარიელი სტატისტიკა რომ არ არის, კარგად გამოჩნდა 11 მარტს. ლიტვის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე წამოყენებული იყო ორი კანდიდატურა: ლიტვის დამოუკიდებელი კომპარტიის ცკ-ს პირველი მდივანი ალგირდას ბრაზაუსკასი და "საიუდისის" ლიდერი, 58 წლის პროფესორი ვიტაუტას ლანდსბერგისი. გამარჯვება ლანდსბერგისს დარჩა. ფარული კენჭისყრის შედეგად მან მიიღო 91 ხმა, ბრაზაუსკასმა - 38.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ სესიაზე მიღებულ იქნა კანონი ლიტვის 1938 წლის 12 მაისის კონსტიტუციის მოქმედების აღდგენის შესახებ.

სესიის დავალებით ბ-ნმა ლანდსბერგისმა მიმართვა გაუგზავნა გორბაჩოვს, სადაც გამოთქმულია იმედი რომ სსრკ ხელმძღვანელობა კეთილგანწყობილებით მოეკიდება ლიტველი ხალხის გადაწყვეტილებას და ცნობს ლიტვის დამოუკიდებლობას.

კრემლმა კი პასუხად მთელი რიგი "უკაზები" მიიღო, სადაც ლიტვის უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილება არაკანონიერად გამოაცხადა. ვ. ლანდსბერგისმა მკაცრად გააკრიტიკა ეს დადგენილებანი და აღნიშნა, რომ სსრკ ხელისუფლების ასეთი ქმედება წარმოადგენს სხვა ქვეყნის საქმეებში უხეშ-ჩარევას. დაიწყო ფსიქოლოგიური დაწოლა ლიტველ ხალხზე. ამოქმედდა ე.წ. ინტერფრონტი, საბჭოთა წყობის დაცვის კომიტეტები, სკკპ-ს პლატფორმაზე მდგომი ლიტვის კომპარტია. გაიმართა მიტინგები, სადაც აფრიალებდნენ წითელ დროშებსა და ლოზუნგებს, მოითხოვდნენ პრეზიდენტის მმართველობის შემოღებას და სხვა. ვილნიუსისა და კაუნასის თავზე დაიწყეს ფრენა სამხედრო ვერტმფრენებმა, უზენაესი საბჭოს შენობასთან ჩაატარეს ტანკების კოლონა. საქმეში ჩართეს მძიმე არტილერია - ცენტრალური ტელევიზია და პროგრამა "ვრემია", რომელიც შეგნებულად აყალბებს ფაქტებს და ამით ხელოვნურად ძაბავს მდგომარეობას. სსრკ საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ მასლიუკოვმა განაცხადა, რომ თუ ლიტვა გავა სსრკ-ს შემადგენლობიდან, მაშინ მას ექნება 7 მილიარდი ვალი. ლიტვის პრემიერ-მინისტრმა კ. პრუნსკენემ განაცხადა, რომ ეს დაანგარიშება არასწორია და სინამდვილეში სალდო სწორედ ლიტვისთვისაა ხელსაყრელი. თავის მხრივ ლიტვამ წარადგინა 17 პუნქტიანი სია პრეტენზიებისა მოსკოვისადმი. პოლონეთის სოლიდარობის გაზეთ "ვიბორჩეი"-სადმი მიცემულ ინტერვიუში კითხვაზე -რეალურია თუ არა სსრკ-ს მიერ ეკონომიკური ბლოკადა ლიტვის წინააღმდეგ, ლანდსბერგისმა უპასუხა: "ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია ასეთი რამ, მაგრამ თუ ასეთი უნდა იყოს ფასი დამოუკიდებლობისა, ლიტვის საზოგადოება მზად არის ის გადაიხადოს."

საინტერესოა რეაქცია ლიტვის მოვლენებისადმი დასავლეთში. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა მარლენ ფიცოუტერმა განაცხადა, რომ იგი მიესალმება ამ მნიშვნელოვან ფაქტს ლიტველი ხალხის ცხოვრებაში და რომ აშშ-ს მთავრობას არასოდეს უცვნია ბალტიის ქვეყნების სსრკ შემადგენლობაში ყოფნის კანონიერება. პრეზიდენტმა ბუშმა პირადი წერილი გაუგზავნა გორბაჩოვს, სადაც დაადასტურა აშშ-ს პოზიცია - ლიტვის თვითგამორკვევის უფლების შესახებ. და რომ შექმნილი ვითარება უშუალო დიალოგის გზით უნდა მოწესრიგდეს.

**დათო კვიციანაძე**

# მისაბაძი მაგალითი

დღეს, როდესაც მოვლენები ისე სწრაფად ვითარდებიან, რომ გარკვევაც კი ძნელდება ამა თუ იმ სიტუაციაში, ეროვნულ მოძრაობას როგორც არასდროს, მართებს ზუსტი პოლიტიკური ანალიზის გაკეთება. ზუგდიდის მაგალითი ამ მხრივ მისაბაძია ყველა რეგიონისათვის. ა/წლის მარტის დასაწყისში სახალხო ფრონტის ზუგდიდის რეგიონალურმა განყოფილებამ ერთ-ერთ ხალხმრავალ მიტინგზე მოითხოვა, რომ გადამდგარიყო ზუგდიდის კპ საქალაქო კომიტეტის ბიურო. ზუგდიდში არსებულმა ოპოზიციურმა ძალებმა არსებულ ვითარებას სწორი შეფასება მისცეს და ვინაიდან კომუნისტური პარტია დღიდან თავისი არსებობისა ერთგულ სამსახურშია იმპერიასთან, რომ ეს პარტია არასოდეს ემსახურებოდა ქართველი ხალხის ინტერესებს, მოითხოვეს საერთოდ გაუქმებულიყო კომუნისტური პარტიის მართველობითი ფუნქციები.

ამ მიზნით 1990 წლის 26 მარტს მოწვეულ იქნა ზუგდიდში არსებულ ოპოზიციურ ძალთა I კონფერენცია.

კონფერენციამ აირჩია ოპოზიციური საბჭო, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ სამსამი წარმომადგენელი ყველა პარტიიდან და საზოგადოებებიდან, კერძოდ:

-ეროვნულ დემოკრატიული პარტიიდან;
-საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიიდან;
-ილია ჭავჭავაძის საზოგადოებიდან;
-რუსთაველის საზოგადოებიდან და ერთი
-სასულიერო პირი.

ოპოზიციური საბჭოს ძირითადი დანიშნულებაა, ხალხის ნებიდან გამომდინარე, გააუქმოს ყველა ანტიეროვნული ქმედება ჯერჯერობით არსებული საბჭოთა ხელისუფლებისა.

ოპოზიციურ საბჭოს, გარდა თავისი ძირითადი პოლიტიკური დანიშნულებისა გააჩნია აგრეთვე უდიდესი ზნეობრივი და მორალური ფაქტორიც. უკვე დროა (თუ არ დავაგვიანეთ კიდეც) ყველამ ერთად გაერთიანებულებმა ერთი მიზნით, ერთი ხატების - საქართველოს სიყვარულით, დავდგეთ ერთმანეთის მხარდამხარ და ხალხს თვითონ ვუჩვენოთ ერთიანობის და თანადგომის მაგალითი. ეს საჭიროა მითუმეტეს დღეს-როდესაც კრემლმა უკვე მიიღო კანონი კავშირიდან მოკავშირე რესპუბლიკების ფაქტიურად "არ გასვლის" შესახებ, როდესაც იმპერია ახალი ფედერაციის შექმნით ცდილობს თავისი ძალაუფლების უფრო და საბოლოდ განმტკიცებას. ჩვენ უნდა შევძლოთ მთლიანად ერის კონსოლიდაცია და ერთი სანუკვარი მიზნისაკენ-თავისუფლებისაკენ მიმავალ გზაზე სწორი მიმართულების მიცემა.

აი, სად ჭირდება ეროვნულ მოძრაობას პოლიტიკური სიმწიფე და სწორი ალღო.

**დემურ ანთია**

## სოლიდარობის აქცია

ა.წ. 3 აპრილს ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ცხუმის განყოფილების თაოსნობით თსუ სოხუმის ფილიალის ეზოში გაიმართა მიტინგი, რომელმაც ფილიალის რექტორის ფელიქს ტყებუჩავას შიმშილობის აქციას სოლიდარობა გამოუცხადა.

მიტინგმა მიიღო რეზოლუცია, სადაც გამოთქმულია პროტესტი საქართველოს დე ფაქტოდ არსებულ ე.წ. ხელისუფლებისადმი, რომელიც ასრულებს რა კრემლის წინაშე თავის მარიონეტულ როლს, ხელს უწყობს ეთნოკონფლიქტების შემდგომ ესკალაციას; აგრეთვე მოთხოვნილია, რომ ე.წ. საქართველოს სსრ უზენაესმა საბჭომ, როგორც შედეგმა ბოლშევიკური რუსეთის მიერ დემოკრატიული საქართველოს წინააღმდეგ ჩადენილი საერთაშორისო დანაშაულისა, გამოაცხადოს თვითლიკვიდაცია; აღდგეს საქართველოს დამოუკიდებლობა.

აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული სექტორის სტუდენტთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ განაცხადა: იმის გამო, რომ ასუ-ში დაბალი სამეცნიერო დონეა და იქ სწავლის პერიოდში ისინი მოწყვეტილნი არიან ქართული ეროვნული მოძრაობისაგან, სურთ გახდნენ თსუ სოხუმის ფილიალის სტუდენტები. მათი ეს თხოვნა ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ცხუმის განყოფილების რეკომენდაციით თსუ სფ-ის ადმინისტრაციამ დააკმაყოფილა.

**აბესალომ მიქელაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზურაბ ჭავჭავაძის ეს ბარათი ფასანაურელმა გიორგი კაიშაურმა გადმოგვცა. ამ ბარათთან ერთად ქვემოთ ვაქვეყნებთ გიორგი კაიშაურის ახალ წერილსაც.



გიორგი!

[illegible]

07.12.88

ზ. [illegible]



## საქართველოსთვის შეგთხოვთ, უფალო!

ეძღვნება ზურაბ ჭავჭავაძის ხსოვნას

თეთრი საავადმყოფო. სპეტაკ სარეცელს მიჯაჭვული, დიდაც ძალით მიჯაჭვული, ქართული გენიის ერთ-ერთი შტო, გვარის მშვენება კვდებოდა. კვდებოდა - არა წამებით, არა თრთოლვით, არა ცოდვებით დამძიმებული კაცის სულიერი ტანჯვით, არამედ ნაღდი, კაცური, წმინდა და მართალი სიკვდილით.

ილია ეძახდა, ალექსანდრე ეძახდა, ისიც, წინაპრებთან ლაციცით ალტკინებული, მაინც ეხვეწებოდა, ცოტაც, სულ ცოტაც მაცალეთო. რა იცოდა, რომ მისი ტანჯვა თავდებოდა და მალე ისიც შეუერთდებოდა საქართველოსთვის მლოცველ წმინდანთა კრებულს; რა იცოდა, რომ სასუფეველში შეცურდებოდა მისი დიდი სული სასოებით და სიამაყითაც. მან აქაური ცხოვრება განვლო, ცხოვრება კაცური, ქართული, ცხოვრება მოწამე ქრისტიანისა. უფალი უხმობდა, წინაპარნი ეძახდნენ, სისხლი ეყინებოდა ამ ძახილზე - სიხარულით და შიშითაც, თვითონაც უნდოდა ეყივლა რაღაც, მაგრამ ამდროს...

ჯერ სატანა შემოიკლაკნა პალატაში, მერე სიკვდილი, მაგრამ მოხდა საოცარი - შეხედა თუ არა რქოსანმა მიჯაჭვულს სასთუმალს, მაშინვე გაუჩინარდა იმედგაცრუებული ღმუილით; სიკვდილმაც სასთუმალს მოუდრიკა თავი და კუთხეში შეიყუჟა...

მაშინ მიჯაჭვულმა იგრძნო თავზე მოალერსე ორი სათნო, თბილი ხელი. ეს იყო თეთრი ანგელოზი - მწყალობელი მოწამეთა, მცველი სამართლისა.

- თქვი! - ჩაესმა მიჯაჭვულს ხმა ციურად დამტკბობი, და მანაც ამოთქვა:

- ღმერთი! სამშობლო! თავისუფლება!

...და მაშინ იხილა მიჯაჭვულმა თეთრი ანგელოზი, მთელი მისი სიკეთითა და სიდიადით - იგი პალატის შუაგულში დადგა და სიკვდილს უბრძანა:

- ახსენი!

იმწუთას იგრძნო მიჯაჭვულმა შვება, დამძიმებული ქუთუთოები ფართოდ გაახილა და მუხლმოდრეკით ეამბორა ანგელოზის სამოსის კალთას.

... სასუფეველში, ყოვლადწმინდა სამების წინ ორნი იყვნენ დაჩოქილნი - ორი ლოცვით, მამულის ორი იმედი, - ერთი თეთრთმიანი, არწივისებური მზერით, მეორე კი შავწვეროსანი, თვალებში იმედის შუქჩამდგარი მზეჭაბუკი.

...და კვლავ ქუხილივით გაისმოდა ჩურჩული:

- საქართველოსთვის შეგთხოვთ, უფალო!

გრიგოლ რობაქიძე

სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის II კურსის სტუდენტი.

2.02.90 წ.

## უკვდავყოფის გზაზე

ზურაბ ჭავჭავაძე საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჭეშმარიტი რაინდი იყო. რამდენადაც საამაყოა იმის გახსენება, თუ რა მაღალადამიანური, ჰუმანური პრინციპებით იღვწოდა იგი ეროვნულ მოძრაობაში, რა დიდი ერისშვილობისა და კეთილშობილების მაგალითი უჩვენა თავის თანამემამულეებს, იმდენადვე მწარეა იმის გააზრება, თუ რა დიდი და საჭირო საქმეების კეთება არ დასცალდა მას საქართველოსათვის, რა მაღალი ზნეობისა და ინტელექტუალური მონაცემების პოლიტიკოსი და წინამძღოლი დაჰკარგა საქართველომ.

ზურაბ ჭავჭავაძის ნათელი სახელის უკვდავყოფის საქმეში ერთ-ერთი პირველი სიტყვა თქვეს ზუგდიდელმა მოსწავლეებმა. მათი ინიციატივით ზუგდიდის მე-3 საშუალო სკოლას ზურაბ ჭავჭავაძის სახელი მიენიჭა. იოლად, უმტკივნეულოდ არ მომხდარა ეს - მოსწავლეებს გაფიცვაც კი დასჭირდათ ამის მისაღწევად...

17 მარტს ზუგდიდის მე-3 საშუალო სკოლაში შეიკრიბნენ მოსწავლეები, პედაგოგები, მშობლები, სტუმრები, მათ შორის ზურაბ ჭავჭავაძის მეუღლე და შვილები. შეკრებილებმა დაათვალიერეს ზურაბისადმი მიძღვნილი სტენდი, რომელიც დიდი გემოვნებით, დიდი სიყვარულითაა შესრულებული.

სკოლის სააქტო დარბაზი ხალხით გაიჭედა. სიტყვით გამოსულმა პედაგოგებმა, მოსწავლეებმა (მათ შორის უნდა გამოვყოთ ზურაბის სახელის მინიჭებისა და ამასთან დაკავშირებული გაფიცვის ინიციატორი, მე-10 კლასის მოსწავლე ირაკლი ქურულრია), სტუმრებმა ილაპარაკეს ზურაბ ჭავჭავაძეზე, ბრწყინვალე მამულიშვილზე, რომელმაც ყველაფერი პირადული შესწირა ერის სამსახურს; იმ დიდ ვალდებულებაზე, რაც ზურაბის სახელის დანათვლით თავს იდო ზუგდიდის მე-3 საშუალო სკოლამ.

მოსწავლეთა ერთმა ჯგუფმა დაჰყარა კომკავშირის ბილეთები...

ზურაბის ახლობლების სახელით დამსწრე საზოგადოებას მადლობა გადაუხადა ნუგზარ ჟღენტმა.

დასასრულს სკოლის მომღერალთა გუნდმა მერაბ კოსტავასა და ზურაბ ჭავჭავაძის ხსოვნის პატივსაცემად შეასრულა "შავლეგო" და ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ჰიმნი "ჩემო კარგო ქვეყანავ".

ბედნიერი ყოფილიყოს ზურაბ ჭავჭავაძის ნათელი სახელის დამკვიდრება სამეგრელოს ცენტრში!

. . . . .

ქ. ყვარელში ზურაბ ჭავჭავაძის სახელი მიენიჭა ყოფილ საბჭოს ქუჩას.

## ტაძრის ადგილას ვაჭრობის ობიექტი?...

"...და შევიდა იესო იერუსალიმის ტაძარში და გამოასხნა, გამოდევნა ტაძრიდან მსყიდველნი და გამსყიდველნი და მეკერმეთა ტაბლები და დასასხდომელნი დაამხო და დააქცია.

და სთქვა: დაწერილია, რომ სახლი ჩემი სახლია სალოცავი, ხოლო თქვენ ავაზაკთა ბუნაგად გიქცევიათ იგი."

1970 წელს ფასანაურში დაანგრიეს პეტრე-პავლეს სახელობის ეკლესია და მის ადგილას ააშენეს საოცრად მახინჯი შესახედაობის მაღაზია, რომელიც დღესაც იმ წმინდა ადგილას დგას. დიდი წვალებით ხალხმა მიაღწია იმას, რომ ეკლესიის აშენების ნება დაერთოთ, მაგრამ ასაშენებლად შესთავაზეს სხვა ადგილი, რადგან მაღაზიის დანგრევა არ სურთ, თუმცაღა მისი შესაფერისი შენობა სოფელში არის. აქტიურ წინააღმდეგობას უწევს ხალხს ეგრეთ წოდებული "სასოფლო საბჭო", რომელსაც ამ შენობაში მეოთხე კვების ობიექტის გახსნა სურს სოფელში.

აქედან გამომდინარე, თუ დროულად და დადებითად არ გადაწყდა ეკლესიის აშენების საკითხი, ფასანაურის ახალგაზრდობა დაიწყებს მწვავე საპროტესტო აქციებს.

გიორგი კაიშაური

12.04.90

# იუმორი

• • •

ბ-ნი ზვიად გამსახურდია ჯიუტად იმეორებს, რომ ილია ჭავჭავაძის საზოგადოებას საქართველოში ნახევარი მილიონი თურქის ჩამოსახლება სურს, თუმცა არგუმენტების მოშველიებით თავს არ იწუხებს.

ილია ჭავჭავაძის საზოგადოება აცხადებს:

ბ-ნ ზვიად გამსახურდიას საქართველოში ერთი მილიონი ჰოტენტოტის ჩამოსახლება უნდა!!! (ყოველ ახალ ნომერში ჰოტენტოტების რიცხვს 100 000 კაცით გავზრდით).

დასაბუთებით არც ჩვენ მოვიკლავთ თავს. ისე კი იცოდეთ, - რამდენჯერაც გვიწოდებს "თურქეთის აგენტებს", ზუსტად იმდენჯერ შევამკობთ "ჰოტენტოტების ჯაშუშის" საპატიო ტიტულით.

• • •

ყველას! ყველას! ყველას!

მათთვის, ვინც წლის განმავლობაში ყველაზე უფრო გამოიჩენს თავს ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ლანძღვა-გინებით, აღნიშნულმა ორგანიზაციამ დააწესა პრიზები, რომლებიც "გამარჯვებულებს" გადაეცემათ რომელიმე დიდი ბელადის დაბადების დღეს.

პირველ ადგილზე გასული მიიღებს ფ(უჰ). ე. ძერჟინსკის ბრინჯაოს სარტიალე ბიუსტს. მეორე და მესამე პრიზიორები შესაბამისად დაჯილდოვდებიან სპილენძისა და თაბაშირის ასლებით. "გამარჯვებულებს" აგრეთვე გადაეცემათ ბიბლიოგრაფიული იშვიათობა: ფ(უჰ). მახარაძის წიგნები ავტორის წარწერით, ასევე ცირკის ბილეთები.

იჩქარეთ, მეგობრებო!

ხელიდან ნუ გაუშვებთ შანსს!!!

• • •

ჩვენ რომ ისე ვიყოთ გაზრდილი, როგორც "შეურიგებელი" ოპოზიციის ზოგიერთი ლიდერი, მაშინ 25 მარტის სამიტინგო "შედევრებს" სულ სხვაგვარ კვალიფიკაციას მივცემდით, მაგრამ ახლაც თავს შევიკავებთ, რადგან ქართული ანდაზა გვეუბნება: ერთი კეთილშობილი ცხოველისაგან წიხლი არ უნდა გეწყინოსო.

სპექტაკლის ქართველ მონაწილეებს მკითხველი კარგად იცნობს. ამჯერად თქვენს ყურადღებას მხოლოდ "მოწვეულ" ესტონელ "მსახიობზე" შევაჩერებთ. ესტონელი "სტუმარი" ისე კარგად იყო გაწრთვნილი და დაგეშილი, რომ, როგორც იტყვიან, პირდაპირ კვალში ჩაუდგა ილია ჭავჭავაძის საზოგადოებას და 24 მარტის სოლიდარობის მიტინგის რეზოლუციებში მთავრობისა და ჩეკას სუნი იყნოსა.

ჩვენ ბოლომდე არ გავიმეტებთ სტუმარს და მის სასარგებლოდაც მოგახსენებთ ორიოდე სიტყვას. ჯერ ერთი, დარწმუნებული ვართ, რომ "მასპინძელმა" იეშმაკა - სტუმრის გულუბრყვილობითა და ქართული ენის უცოდინარობით ისარგებლა და 24 მარტის მიტინგის რეზოლუციების ნაცვლად მას საკუთარი ორგანიზაციის წესდება შეაპარა. მეორეც: სტუმარი ასე ლაღად რომ ილებდეს მთავრობისა და ჩეკას გეშს, შეიძლება სუნისაგან გაბრუებული 25 მარტს მიტინგის დროს ტრიბუნაზე წაქცეულიყო.

აქვე ჩვენს ქართველ "მეგობრებსაც" ვურჩევთ, რომ ილია ჭავჭავაძის საზოგადოების სალანძღავად "უცხო" ძალებს ნუ მოიხმობენ, რადგან ნაკისრ ვალდებულებას თვითონაც მშვენივრადართმევენ თავს.

ულრმესი პატივისცემით -

ილია ჭავჭავაძის საზოგადოება.




ნახატი ზ. მშვილდაძისა

# ფეხბურთის ეროვნული ჩემპიონატი

ეროვნული ჩემპიონატი მართლაც ღირსშესანიშნავი მოვლენაა ჩვენს ცხოვრებაში. იგი ხომ ერთგვარად აკავშირებს - ეროვნულობას, სტადიონსა და ფეხბურთს. ქართულ ფეხბურთს განვითარების საკუთარი ასპარეზი უნდა ჰქონდეს, იგი რუსული სპორტის ძირზე დამყნობილად ველარ იარსებებს. ჩვენი სპორტი ვერ ამოავსებს უცხო ქვეყნის უკიდეგანო, გაყინულ სივრცეებს. ცხადია, ისე როგორც ჩვენი ეროვნული არსებობის ყველა მხარე, სპორტი და ფეხბურთიც წარმოუდგენელია, რომ ქართველთათვის ტრადიციული საერთაშორისო კონტაქტების გარეშე ალორძინდეს. სხვაგვარად, ფეხბურთიც იქნებოდა განწირული: განუვითარებლობისათვის, ცალმხრივობისათვის, მოუწყობელ ჩრდილოურ ქალაქებში დამქანცველი წანწალისათვის, საბჭოთა სპორტის ბიუროკრატიასთან თუ მსაჯებთან დამამცირებელი ლრეჭისათვის, ჭაჭა-კონიაკის ბოთლების სახელრისეული თრევისათვის და სხვა. ღვთის წყალობით, ეროვნულმა ჩემპიონატმა ყველა ამ საძაგლობას ბოლო მოუღო! ქართული ეროვნული ჩემპიონატი ყოველმხრივ სამაგალითო უნდა გახდეს. მასზე უნდა ამაღლდეს საფეხბურთო კლასი, განვითარდეს ქართული საფეხბურთო სკოლა. იმედია, რომ უახლოეს მომავალში ჩვენი ფეხბურთიც დაამშვენებს თვალისმომჭრელ მსოფლიო საფეხბურთო მრავალფეროვნებას, რაც ქართველ გულშემატკივრებს დღემდე არნახულ სიხარულსა და სიამაყის გრძნობას მიანიჭებს. დღეს უკვე ქართული ფეხბურთის ბედი და მომავალი ჩვენს ხელთაა—სპეციალისტებმა, ფეხბურთელებმა, გულშემატკივრებმა ერთად უნდა ვილვაწოთ წარმატებისათვის. დიახ, ფეხბურთი დღეს პოლიტიკას გადაეჭდო და ამიტომ ჩვენს მრავალრიცხოვან მტერს არ უნდა ვათქმევინოთ—რა დამოუკიდებლობასაც ფეხბურთში მიაღწიეს, იმასვე პოლიტიკაში შეჰყრიან ქვეყანასო. ეროვნული ჩემპიონატი არ უნდა გახდეს მხოლოდ კამპანიური აქცია, რომელსაც მოძველებისთანავე უყურადღებოდ მივაგდებთ, მას თანმიმდევრული და მძიმე შრომა სჭირდება. რას ვიზამთ, ჩვენს გასაკეთებელს სხვა არ გააკეთებს.

დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია სტადიონიც. ის ხომ ყველაზე მძიმე—სისხლიან თუ დამყაყებულ წლებშიც ეროვნული მუხტის წარმოქმნის მნიშვნელოვანი ადგილი იყო. სტადიონებზე ხერხდებოდა ის, რაც სამწუხაროდ იმ ხანებში ვერ ხორციელდებოდა—ქუჩებში, აუდიტორიებში, დაწესებულებებში და ოჯახებშიც კი. სტადიონზე აზვირთებული ეროვნული ენერგია ჯაჭვურ რეაქციას წააგავს, რომელიც გონებამ თუ არ მართა და ერის ალმშენებლობით საქმეზე არ მიაგდო, შესაძლოა ისეთი მძლავრი აფეთქების ეპიცენტრადაც იქცეს, რომელსაც ჩვენზე დიდი ერები დაუზიანებია ფრიად. ღმერთმა დიდი ეროვნული გამარჯვებები გვაზეიმოს ეროვნულ სტადიონებზე!

კარლო კავსაძე

# თვითკურთხეული იმპერატორი და საქართველო

მიმდინარე წლის 13 მარტს საქართველოსა და ამიერკავკასიის ტერიტორიაზე საშინლად აცივდა. იქნებ ბუნების ძალამ იმის ნიშანი მოგვცა, რომ საკავშირო პრეზიდენტის არჩევას პოლიტიკური კლიმატის გაყინვა მოჰყვება თან, - ამ ისედაც "ცივსა და გაუხარელ ქვეყანაში"?

საქართველოში ანტისაპრეზიდენტო კამპანია სახალხო ფრონტმა წამოიწყო და 7-9 მარტს მას ბევრმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა ორგანიზაციამ დაუჭირა მხარი. ჩვენის დაკვირვებით ეს აქცია ხელისუფლებისათვის სრულიად მოულოდნელი იყო. ამის ნათელი დასტურია საქართველოს უზენაესი საბჭოს 9 მარტის საგანგებო სესია, რომელიც საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ამ ისტორიულ სესიაზე ხომ საბჭოთა ხელისუფლებამ დაბნეულობისა და მოულოდნელობის გამო ნამდვილი "იურიდიული ხარაკირი" (თვითგამოშიგვნა იაპონურად, შ. ლ.) გაიკეთა. მოვლენების ამგვარი განვითარებას, როგორც ჩანს, ეროვნული მოძრაობის "შეურიგებელი" ნაწილიც არ მოელოდა. მათ 9 მარტს, მთავრობის სასახლის წინ უსაყვედურეს კიდეც ბ-ნ ნოდარ ნათაძეს "თვითნებური" მოქმედებისათვის. ამის მიუხედავად, ანტისაპრეზიდენტო კამპანია იმდენად აქტუალური და საჭირბოროტო გამოდგა, რომ მასში ნებსით თუ უნებლიედ მთელი ქართველი ერი ჩაერთო - რამეთუ პრეზიდენტის მმართველობა გამორიცხავს საქართველოს სუვერენიტეტს. მკითხველმა ალბათ შესანიშნავად იცის III ყრილობის ქართველ დელეგატთა წინასწარი განწყობა ამ და სხვა უამრავ ანტიდემოკრატიულ, ანტიეროვნულ კანონებთან დამოკიდებულებაში, რომელსაც ცენტრი დამონებულ ერებს ახვევს თავს. ალბათ ისიც ცნობილია, რომ მიუხედავად დაპირებისა ჩვენმა დელეგატებმა მაინც მიიღეს მონაწილეობა პრეზიდენტის კურთხევაში. მათი ეს საქციელი ცალკე მსჯელობის საგანია, აქ კი გვსურს კვლავ თბილისის მოვლენებს დავუბრუნდეთ. 9 მარტს მთავრობის სახლის წინ გამართული მიტინგზე გამოთქვა აზრი საგანგებო ეროვნული კონფერენციის მოწვევის შესახებ, რომელიც პრეზიდენტ-იმპერატორის თვითკურთხევის პარალელურად ჩატარდა კიდეც 13-15 მარტს. აქ საგანგებოდ არ შევეხებით მის მიმდინარეობას და პერიპეტიებს, რადგან ოფიციალური, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით იგი საკმაოდ გულდასმით გაშუქდა. ერთი კი გვინდა შევნიშნოთ, რომ მასზე ანტისაპრეზიდენტო გამოსვლებს ფართო ასპარეზი არ მიცემია. სამაგიეროდ ამ აქციის წამომწყები და ჩვენთვის ყველასათვის პატივსაცემი ბ-ნი ნოდარ ნათაძე ფილარმონიის "გახურებულ თონეში" გადაუძახეს და უთუოდ ჩაიწვებოდა კიდეც მასში, ცოტა კირკიტი აგებულების ადამიანი რომ არ ბრძანდებოდეს. ფილარმონიაში ბევრი კარგი და მაგარ-მაგარი რამეები კი ითქვა, მაგრამ ამას საბჭოთა კავშირის პრეზიდენტ-იმპერატორის კურთხევისათვის ოდნავადაც არ შეუშლია ხელი. თუმცა ზოგიერთს თუ დაუჯერებთ რაში გვენაღვლება "მოდერნიზებული იმპერიის" ახალი მოდერნიზაცია(?)-კისერიც უტეხია მოსკოვს! (ეჰ, ნეტა მართლა ასე იყოს, შ. ლ.).

მართლაც, ძალზე აცივდა საქართველოში. კიდევ კარგი გაზაფხულმა ჯერ კვირტის გამოტანა ვერ მოასწრო, თორემ ნამდვილად მოყინავს!

შოთა ლაზარიშვილი

სარედაქციო კოლეგია: ანზორ აბჟანდაძე, გუძა აფაქიძე, იოსებ ჭანძელაძე, კახაბერ კახაძე, თამარ ჩხეიძე, ნიკო ჭავჭავაძე

საზოგადოების დროებითი მისამართი: ლუნაჩარსკის 2, III სართ. ტ: 93-39-32

ფასი 2 მან.